ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## მეგი ბაქრაძის საქმეზე 1 ექთანს და 2 ექიმს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

გვ.2



ხუთშაბათი, 8 აპრილი, 2021 №59 (8588) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნებასთან“ ყურში ჩაჩურჩულება არ შემიძლია, მე არც შეხვედრას ვაპირებ







თაკო ჩარკვიანი: „ვაშაძემ თქვა, გარიგება გამორიცხულიაო“

გვ.4



„ყოველი დღე დაგვიანებულია, მაგრამ აქციაზე გადაწყვეტილებას მარტო არ ვიღებ“

## „ოცნებას“ კობახიძისნაირი განულებული ხალხი სჭირდება“



გვ.4

გედევან ფოფხაძე: „თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება, მაშინ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს“

## „ოცნება“ დღეს მელიას თუ გამოუშვებს, მოიგებს“



გვ.3



თორნიკე შარაშენიძე: „გიორგი ვაშაძის და „ლელოს“ დღის წესრიგი და მათი ქმედებები ნამდვილად ვერ გავიგე. მათ ნაცმოძრაობა შეისრუტავს“

## „ვინც გახარიასთან გაერთიანდება, მაკო გომურის უნდა შერცხვეს“

ბეჟან ნათელაშვილი: „დასავლეთმა შეიგნო, რომ საქართველოს მართავს დიქტატორი“ გვ.3



ISSN 1987-9385

**5** შამგონასთან ენგურში 4 ცხედარი იპოვეს

**4** ფეისბუქმა ირაკლი შიხიაშვილისა და „ქართული მარშის“ გვერდები და ჯგუფები წაშალა

**5** შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.391 ფაქტი გამოავლინა

**6** დიდ ბრიტანეთში „მოდერნას“ ვაქცინის გამოყენება დაიწყეს

# ვიოლა ფონ კრამონი: „ჩვენ გვჭირდება დეპუტატები პარლამენტში და არა პარლამენტს გარეთ“




– ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე, მაგრამ ჩვენ გვჭირდება პარტნიორები საქართველოში, რომლებიც მზად იქნებიან, ჩვენი დახმარება მიიღონ და რომლებიც იქნებიან მზად იმის რეალიზებისთვის, რასაც მათ შევთავაზებთ ფინანსური დახმარების კუთხით, პროექტების კუთხით და ა.შ.

ამის შესახებ ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ვირტუალური მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას განაცხადა.

ევროპარლამენტარის თქმით, ის საქართველოში იმყოფებოდა და სხვადასხვა პარტიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ესაუბრა.

– საკმაოდ იმედგაცრუებული დავრჩი შეუთანხმებლობით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა სხვა რამეს ელოდება. ისინი ელიან გამოსავალს ამ კრიზისიდან, ამ პოლიტიკური არეულობიდან რაც შეიძლება მალე. ოპოზიციის ბოიკოტის გამო თავიდანვე არ ვიყავი კმაყოფილი, ვინაიდან მათ არც კი დაიცადეს ეუთო/ოდირის საბოლოო რეკომენდაციებამდე და შეფასებამდე და არჩევნების ღამესვე გადაწყვიტეს ბოიკოტირება. ეს ჩემთვის მისაღები არ არის.

მსურს, ვუთხრა ოპოზიციურ პარტიებს, რომ თუკი პარლამენტის გარეთ დარჩებით, თუკი გადაწყვეტთ, რომ წახვალთ რაიმე სახის ქუჩის რევოლუციების გზით, არ გვექნება არანაირი დიალოგი, არ ვიმუშავებთ ერთად.

ჩვენ გვჭირდება ძლიერი ოპოზიცია. ჩვენ გვჭირდება პარტნიორები, კოლეგები, პარლამენტარები პარლამენტში და არა პარლამენტს გარეთ. მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს ოპოზიციიდან, რომ მიიღონ მანდატები და მუშაობა პარლამენტიდან დაიწყონ და ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ მათ პარლამენტიდან მუშაობის უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდეთ.

ჩვენ გვსურს საქართველო ევროკავშირში, მაგრამ ამისთვის ჩვენ გვჭირდება სწორი პარტნიორები პარლამენტსა და მთავრობაში, რომლებსაც ესმით, როგორ მართონ ქვეყანა, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.

# „ივანიშვილი და მისი წარმომადგენლები დილემის წინაშე დგანან“

## ნიკა მელიას განცხადება



ივანიშვილი და მისი წარმომადგენლები დილემის წინაშე დგანან. პირველი: ფიქრობენ, თუ გამომიშვეს, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავჯდები, ჩემი მორალური და ფსიქოლოგიური უპირატესობა მათთვის დიდი დისკომფორტი იქნება.

ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია „ტვ პირველისთვის“ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს.

როგორც ნიკა მელია განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ მას გაათავისუფლებენ, 15 მაისამდე საქართველოს შემოივლის და თავისუფლებაზე ყოფნის ყველა უპირატესობას გამოიყენებს.

„ივანიშვილი და მისი წარმომადგენლები დილემის წინაშე დგანან. პირველი: ფიქრობენ, თუ გამომიშვეს, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავჯდები და ჩემი მორალური და ფსიქოლოგიური უპირატესობა, მათთვის დიდი დისკომფორტი იქნება. ასევე 15 მაისამდე მთელ თბილისს და საქართველოს შემოვივლი, თავისუფლებაზე ყოფნის ყველა უპირატესობას გამოვიყენებ ქვეყნის სასარგებლოდ და მათ საწინააღმდეგოდ. მეორე, საერთაშორისო და ადგილობრივი ზეწოლა უფრო მზარდი გახდება. მსოფლიოში ვერავის ვერ არწმუნებენ, რომ მათ პოლიტიკური პატიმარი არ ჰყავთ“ – წერს ნიკა მელია წერილში.

# მეგი ბაქრაძის საქმეზე 1 ექთანს და 2 ექიმს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა



აქართველოს პროკურატურამ ექთნის მეგი ბაქრაძის გარდაცვალების საქმეზე, გამოძიებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტზე „ახალციხის კლინიკა იმედის“ ექიმებს ბ.ლ.-ს, ვ.ი.-ს და ექთანს თ.გ.-ს ბრალი წარუდგინა. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მათ ხელი შეუშალეს მართლმსაჯულებას და გამოძიებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს. კერძოდ, ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, 18 მარტს, ახალციხის კლინიკაში, იმუნიზაციის შემდგომი დაყოვნების ოთახში მყოფი მეგი ბაქრაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, გართულების დაწყებისთანავე, თითქოს მის მიერ და ასევე მისი ხელმძღვანელობით, პაციენტს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო პროცედურები. აღნიშნული ფაქტი ჩვენებებით დაადასტურეს ასევე კიდევ ორმა ექიმმა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ იმუნიზაციის შემდეგ მეგი ბაქრაძის მიმართ რაიმე მედიკამენტი არ გამოუყენებიათ და იმ დროს, როცა მეგი ბაქრაძეს გაუწიეს გართულების შემდგომი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ექიმი ვ.ი. დაყოვნების ოთახში საერთოდ არ იმყოფებოდა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მ.ბ.-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით 19 მარტს დაიწყო. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 18 მარტს ქ. ახალციხეში, შპს „ახალციხის კლინიკა იმედში“ მ.ბ.-ს ჩაუტარდა „კოვიდ 19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რის შემდეგაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მ.ბ.-ს თავდაპირველად გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება აღნიშნულ კლინიკაში გაეწია, ხოლო შემდგომ იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ გადაყვანილ იქნა თბილისში, „თსსუ პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში“, სადაც 19 მარტს გარდაიცვალა.

„აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხნენ ბ.ლ., ვ.ი. და თ.გ, რომლებიც გამოკითხვის დაწყებამდე გამომძიებლის მიერ გაფრთხილებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მათ ხელი შეუშალეს მართლმსაჯულებას და პირადი მოტივით, რათა არ გამჟღავნებულიყო, რომ ვ.ი. არ იმყოფებოდა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის დროს პაციენტთან, გამოძიებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს. კერძოდ, ვ.ი.-ს ჩვენების მიხედვით, 18 მარტს, ახალციხის კლინიკაში, იმუნიზაციის შემდგომი დაყოვნების ოთახში მყოფი მ.ბ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, გართულების დაწყებისთანავე, თითქოს მის მიერ და ასევე მისი ხელმძღვანელობით, პაციენტს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო პროცედურები. აღნიშნული ფაქტი ჩვენებებით დაადასტურეს ასევე ბ.ლ.-მ და თ.გ-მ. თუმცა გამოძიებით დადგინდა, რომ იმუნიზაციის შემდეგ ვ.ი-ს მ.ბ.-ს მიმართ რაიმე მედიკამენტი არ გამოუყენებია და იმ დროს, როცა მ.ბ.-ს გაუწიეს გართულების შემდგომი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ვ.ი. დაყოვნების ოთახში საერთოდ არ იმყოფებოდა.

ბ.ლ.-ს, თ.გ.-ს და ვ.ი.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით (მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა გამოძიების დროს გამოსაკითხი პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, ჩადენილი სხვა პირადი მოტივით) წარედგინათ. ბრალდებულები წაყენებულ ბრალს აღიარებენ.

პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები გარდაცვალების მიზეზის დასადგენად“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# მარინა კალიურანდი: „ევროკავშირი არასდროს გიკარნახებთ, უნდა ჩაატაროთ თუ არა ვადამდელი არჩევნები“



– ევროკავშირი, ჩვენ არასდროს გიკარნახებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, არასდროს გეტყვით, უნდა ჩაატაროთ თუ არა ვადამდელი არჩევნები, ეს თქვენი პოლიტიკური პარტიების გადასაწყვეტია.

ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მარინა კალიურანდმა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ვირტუალური მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას განაცხადა, რითაც მან ნიკა მელიას შესახებ დასმულ შეკითხვას უპასუხა.

– კომპრომისი თქვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა გამოძებნოს და ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ კომპრომისს, თუ მას ყველა პოლიტიკური პარტია დაუჭერს მხარს. ჩვენ არ შეგვიძლია გამოსავალი შემოგთავაზოთ, გამოსავალი თქვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა გამონახოს, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.

მან ოპოზიციის პარლამენტიდან მუშაობის აუცილებლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პარლამენტს ძლიერი, ხმამაღალი ოპოზიცია სჭირდება, რადგან მხოლოდ ესაა გზა დემოკრატიული რეფორმებისა და განვითარებისკენ.

– სამწუხაროდ, ვერ ჩამოვედით, რომ არჩევნებს დავკვირვებოდით. სამწუხაროდ, ევროპარლამენტარები ოფიციალურ ვიზიტებს ვერ ახორციელებენ – საქართველოს ვიოლა ფონ კრამონი ეწვია, თუმცა ეს პირადი ვიზიტი იყო. ჯერჯერობით ვერ ჩამოვდივართ და ამიტომაა, რომ პატივს ვცემთ და ვაღიარებთ ოდირის გადაწყვეტილებებს. ოდირი კი ძალიან მკაფიო იყო: არჩევნებს პრობლემები ახასიათებდა, თუმცა, საერთო ჯამში, ისინი სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდა და წერტილი.

ქართველმა ხალხმა გამოხატა ნება, მან მისცა მანდატი ქართველ პოლიტიკოსებს და ძალიან სამწუხაროა, რომ ყველა პოლიტიკოსმა მანდატი არ მიიღო. თუ გსურს რაიმეს შეცვლა და ქვეყანაში რეფორმების გატარება, პარლამენტში უნდა იყო – პარლამენტს ძლიერი, ხმამაღალი ოპოზიცია სჭირდება. მხოლოდ ესაა გზა დემოკრატიული რეფორმებისა და განვითარებისკენ, – აღნიშნა კალიურანდმა.

# ნიკოლოზ სამხარაძე: „დანიელსონის დოკუმენტზე მუშაობის გაგრძელება გვინდა“



– ჩვენ საჯაროდ გვინდა დავადასტუროთ დანიელსონის დოკუმენტზე მუშაობის გაგრძელების მზაობა – ჩვენ ჩვენი მხრიდან მზად ვიქნებით, აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოვაწეროთ.

ამის შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ მედიაციის პროცესი უშედეგოდ იმის გამო დასრულდა, რომ ოპოზიციის დიდმა ნაწილმა არ ისურვა, დოკუმენტისათვის ხელი მოეწერა.

– რა თქმა უნდა, ევროპაში ამას დადებითად ვერ მიიღებდნენ. შესაბამისად, ველი, რომ უახლოეს მომავალში ევროპარლამენტარების მხრიდან უფრო მეტი და მეტი მოწოდება გაკეთდება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ მზაობას იმაზე, რომ დანიელსონის დოკუმენტთან დაკავშირებით შეთანხმება შედგეს – თუ შეთანხმება შედგება და ამას ყველა ხელს მოაწერს, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, – განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

# ახალგაზრდა ქალი ვაჟა-ფშაველაზე მანქანაში გარდაიცვალა



გუშინ, 7 აპრილს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, კომაროვის სკოლასთან, მანქანაში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს.

ქალი ვაჟა-ფშაველას გამზირზე მანქანით გადაადგილდებოდა, შეუძლოდ გახდა და მანქანის გაჩერების შემდეგ გარდაიცვალა.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

# კუს ტბაზე 2 ადამიანი დაშავდა



გუშინ, 7 აპრილს, საღამოს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა კუს ტბის გზაზე. როგორც „მთავარი არხის“ ვებგვერდისთვის ხდება ცნობილი, ავარიის შედეგად ორი პირი დაშავდა, რომლებიც უკვე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შსს-ში ამბობენ, რომ გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ დღეს მელიას თუ გამოუშვებს, მოიგებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „გიორგი ვაშაძის და „ლელოს“ დღის წესრიგი და მათი ქმედებები ნამდვილად ვერ გავიგე. მათ ნაცმოძრაობა შეისრუტავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, არჩევნების შემდეგ პირველი კვლევის შედეგები აირაიმ დადო. კვლევის თანახმად, სამი რეიტინგული ფიგურა გამოიკვეთა. პატრიარქი, გახარია და კალაძე. ოპოზიცია აცხადებს რომ ეს ძველი კვლევაა, ახლა რომ ჩატარდეს, სხვა შედეგები იქნებაო. რას იტყვით თქვენ? რა გვაჩვენა ამ კვლევებმა?***

– ახალი რომ იყოს, რა შეიცვლებოდა?! ამ კვლევებში მთავარი მაინც არის ის, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს უნდა, ოპოზიცია შევიდეს პარლამენტში. ამით უკვე ძალიან ბევრია ნათქვამი. აქ გახარია ფიქსირდება, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკოსი თუ „ოცნების“ ნაწილი, ეს, რეალურად, მეორეხარისხოვანია.

***– აჩვენა ამომრჩეველმა, რომ ოპოზიციაზე ნაწყენია?***

– ასეა და არც არის გასაკვირი. არ შედიხარ, ხალხს იმედი უჩნდება, რომ ოპოზიცია რამეს იზამს, რაღაც გამოუვა. რა უნდა გამოგივიდეს? ერთია, მოიპოვო დასავლეთის მხარდაჭერა, მეორეა, ან ხალხის მხარდაჭერა უნდა მოიპოვო, რომ ხელისუფლებას შეეშინდეს და დაიხიოს უკან. არც ერთი არ აქვთ. რა თქმა უნდა, ხალხი განაწყენებულია და ეტყვის ოპოზიციას, თუ არაფრის თავი არ გქონდა, რას გამოდიოდი ქუჩაშიო. ნამდვილად ლოგიკური შეკითხვაა.

***– 15 მაისს აქვს ოპოზიციას დაანონსებული აქცია. თუმცა ოპოზიციაში დაბნეულობაა, აზრი ორად გაიყო. გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ის მზად არის მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს. რა პროცესები იწყება, აღარ უნდათ ნაცმოძრაობის ვაგონს ჩაებნენ დანარჩენებიც?***

– ოპოზიციაში იმდენად ხშირად იცვლიან შეხედულებებს, თუნდაც იგივე გიორგი ვაშაძე, რომ მიჭირს გავყვე ლოგიკას. საერთოდ, მე მესმის ნაცმოძრაობის, მათი ლოგიკა გავიგე, იმიტომ, რომ მათ თავიანთი დღის წესრიგი აქვთ. ასევე მესმის ბოკერიასი, მასაც თავისი დღის წესრიგი აქვს. ვაშაძის და „ლელოს“ დღის წესრიგი და მათი ქმედებები ნამდვილად ვერ გავიგე. რისი იმედი ჰქონდათ მათ, ან რატომ არ შევიდნენ პარლამენტში, ჩემთვის გაუგებარია. ასე რომ, თუ დასხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, აქ უკვე ლოგიკას ვხედავ. იმიტომ, რომ ისინი თუ წავლენ ქუჩაში, მათ შეისრუტავს ნაცმოძრაობა. ეს გამოჩნდა კიდეც კარგად, 1%-ზე დაეცა „ლელოს“ რეიტინგი. რატომ? იმიტომ, რომ შეისრუტა ნაცმოძრაობამ.

***– ხშირად ასე ემართება პატარ-პატარა ოპოზიციურ პარტიებს, ნაცმოძრაობის გავლენის ქვეშ ექცევიან და მოსახლეობაც მათთან აიგივებს.***

– რა თქმა უნდა, ასეა. მით უმეტეს, ნაცმოძრაობის ძალიან ძლიერი მოთამაშე კიევში ზის და რეალურად ის მართავს დღეს ნაცმოძრაობას. ამაში უკვე ყველა დარწმუნდა და ამას არც უარყოფს არავინ. აქედან გამომდინარე, ამაში გასაკვირი არაფერი არ არის.

***– შესაძლოა, რომ შევიდეს პარლამენტში ოპოზიციის ნაწილი მაინც?***

– ეს, წესით, აქამდე უნდა მომხდარიყო. თუმცა დაგვიანებული ახლაც არ არის. თუ ეს მოხდა, მაშინ ჩავთვალოთ, რომ „ოცნებამ“ გაიმარჯვა და გახლიჩა ოპოზიცია უფრო მეტად.

***– დღეს ნიკა მელიას სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს. არის ვარაუდი, რომ შესაძლოა მელიას აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალოს. რამდენად უშვებთ, რომ ასე იქნება და ეს ხომ არ იქნება დანიელსონთან გამართული მოლაპარაკებების შედეგი?***

– არ ვიცი, ეს რისი შედეგი იქნება, მაგრამ მე ასე ვიტყვი, თუ ამას გააკეთებს „ოცნება“, ალბათ ძალიან ბევრს მოიგებს. იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ შეუძლია მელიას დაჭერა და დაიჭირა, ხოლო თუ ახლა გამოუშვებს, ჩემი აზრით, მოიგებს. თუმცა, ისინიც ჩემსავით ხომ არ აზროვნებენ, შესაძლოა, ისინი ფიქრობენ, რომ რაც უფრო დიდხანს დატოვებენ მელიას ციხეში, მეტად მოახდენენ ძალის დემონსტრირებას და უფრო დაუმტკიცებენ თავიანთ ამომრჩეველს, რომ მაგრები არიან. „ოცნება“ ჩემსავით ნამდვილად არ ფიქრობს. ჩემი აზრი ასეთია, რომ უნდა გაუშვან. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ მელია არ გამოვიდეს ციხიდან.

***– რატომ, მოსწონს იქ ჯდომა?***

– საინტერესოა, რამდენ ხანს აწყობს მელიას ციხეში ჯდომა. ძალიან დიდხანს ჯდომით, შესაძლოა, ის იქცეს ტიმოშენკოდ. ესე ხდება ხოლმე. უკრაინაში ტიმოშენკო დიდხანს იჯდა, როცა გამოვიდა, ძალიან დასუსტებული აღმოჩნდა მისი პოზიციები. ასე რომ, ამ მხრივ საფრთხილოა ხოლმე. ზღვრის დაცვაა საჭირო.

***– „ოცნებაზე“ საუბრობდით და მათი რეიტინგი 35%-ს შეადგენდა ამ კვლევების თანახმად. ამ სიძნელეების, პანდემიის და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამდენად ნორმალურია დღეს მმართველი გუნდის რეიტინგი?***

– იცით რაშია საქმე, პანდემიას რომ შევხედოთ, იგივე ამ კვლევებით ირკვევა, რომ უმრავლესობას მოსწონს, მთავრობა როგორ უმკლავდება პანდემიას. შესაბამისად, ეს საკმაოდ მაღალი რეიტინგი...

***– მაღალია 35%?***

– „ოცნებისთვის“ საკმაოდ მაღალია, იმიტომ, რომ მესამე ვადით არიან ხელისუფლებაში და ამის კვალობაზე მაღალია. ეს რეიტინგი აიხსნება სწორედ პანდემიასთან ბრძოლით. რაც არ უნდა ოპოზიციამ იყვიროს, რომ „ოცნება“ ვერართმევს თავს, იგივე ხდება სომხეთში, საფრანგეთში თუ სხვაგან. ამიტომ თვლიან, რომ „ოცნებას“ არ ჩაუფლავებია. კი, რაღაცებში ჩავარდნა იყო, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ჩავარდნა არ ყოფილა. ახლაც ბეწვის ხიდზე გადის ხელისუფლება.

***– კიდევ ერთ ჩაკეტვას რამდენად გაუძლებს ქვეყანა?***

– ძალიან რთული საკითხია, მესამე ჩაკეტვას რამდენად აიტანს ქვეყანა. მე მგონი, არ ჩაკეტავენ. რადგან არა აქვს მაინცდამაინც დიდი აზრი. რეგულაციები მაინც არ არის დაცული. არღვევს მთავრობაც, არღვევენ რიგითი მოქალაქეებიც. ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, ამას შეგნებულად აკეთებს ხოლმე, არღვევს წესებს, რომ ხალხს მისცეს მაგალითი. ამ ფონზე, არ ვიცი, რა აზრი აქვს რეგულაციების კიდევ უფრო გამკაცრებას. მაგალითად, მე ცუდს ვერაფერს ვხედავ იგივე კომენდანტის საათში და პირბადის ტარებაში.

***– „ოცნების“ კულუარებიდან გამოდის ინფორმაციები, რომ შესაძლოა, პარტიის თავმჯდომარე შეიცვალოს. თქვენ რას ფიქრობთ?***

– არ ვიცი, მიჭირს თქმა. ამბობენ, რომ კობახიძესა და კალაძეს შორის არის სერიოზული დაპირისპირებაო, თუმცა, მე რაც ვიცოდი, ეს ორი მოკავშირე იყო და ამიტომ, რა მოხდა, ვერ გეტყვით. არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია.

***– კალაძე ახსენეთ, დიდი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩნდა. ბევრი მითქმა-მოთქმა მოყვა მის გაუჩინარებას. თქვენ რას ფიქრობთ, მიდის კალაძე „ოცნებიდან“?***

– ჩემი აზრით, კალაძეს ძალიან კარგად აქვს განვითარებული ბრძოლის და გადარჩენის ინსტინქტი.

***– პოლიტიკური ალღოც?***

– ნამდვილად აქვს ალღო. სწორედ ამიტომაც მიაღწია ბევრს, თავის დროზე როგორც სპორტსმენმა. ნამდვილად არ იყო მარტივი, სამტრედიიდან მილანში აღმოჩენა. ჩემი აზრით, კალაძის ნაბიჯი ბევრს გამოაჩენს.

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ შემდეგს: თუ კალაძე რჩება „ოცნებაში“, ე.ი. ხედავს კვლავ დიდ პერსპექტივას და ამ პარტიას კვლავაც აქვს შანსები, თუ კალაძე მიდის, მაშინ გამოდის, რომ „ოცნების“ შანსები ეცემა.



***– რას იტყვით გიორგი გახარიაზე? ოპოზიცია ძალიან შფოთავს, არც მისი რეიტინგულობა ახარებს ბევრს. რას იტყვით თქვენ. აშინებს მავანს მისი პოპულარობა?***

– ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, რას აპირებს გახარია. არ ვიცით მისი გუნდი, არ ვიცით, როგორ და საიდან ფინანსდება, ვინ დგას მის უკან. რომელი ქართველი ბიზნესმენი.

***– ჩხარტიშვილის პარტნიორად მოიაზრება...***

– არის კი ეს სიმართლე?! ზოგიერთ ყოვლისმცოდნეს რომ ჰკითხო, ჩხარტიშვილი ყველას და ყველაფერს აფინანსებს და არა მგონია, ასე მარტივად რომ იყოს საქმე. სანამ არ გავიგებთ გარკვეულ დეტალებს, თუნდაც იმას, რაც ღიად ჩანს, მაგალითად, ვინ არიან მის გუნდში, ასე წინასწარ მსჯელობა რთულია. თავისთავად მე ვუჭერ მხარს იმას, რომ პოლიტიკაში იყოს ხალხი, ვისაც სახელმწიფო მართვის გამოცდილება აქვს და არა მხოლოდ მიტინგებზე ღრიალის გამოცდილება. ასე რომ, მე ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ გახარია აქტიურ პოლიტიკაში შემოვა.

– მიიღებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას?

– ყველა ვარიანტში უნდა მიიღოს, თუ ამბიციები აქვს, ადგილობრივი არჩევნები კარგი რეპეტიციაა საპარლამენტო არჩევნებისთვის. ასე რომ, დაველოდოთ, საინტერესო პროცესები გველოდება.

# „ვინც გახარიასთან გაერთიანდება, მაკო გომურის უნდა შერცხვეს“

## ბეჟან ნათელაშვილი: „დასავლეთმა შეიგნო, რომ საქართველოს მართავს დიქტატორი“

მარიამ მჭედლიშვილი

ევროკავშირი გააგრძელებს გზების ძიებას საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად. ოპოზიციის მიერ 15 მაისისთვის დაანონსებული აქცია ისევ ძალაშია, ხელისუფლება კი ბარიერგადალახული ოპოზიციის პარლამენტში შესვლას კვლავინდებურად ელის. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.

***– ევროკავშირი აგრძელებს მუშაობას საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით. ეს რისი მანიშნებელია?***

– ევროკავშირის, ზოგადად ევროპისა და აშშ-ის ჩარევა საქართველოში მიმდინარე მოვლენებში იმის მანიშნებელია, რომ პატარა საქართველოს საშინაო პრობლემები გასცდა ქვეყნის საზღვრებს. დასავლეთმა შეიგნო, რომ საქართველოს მართავს დიქტატორი. ქვეყანაა პატარა, თორემ ივანიშვილის დიქტატურა იგივე კადაფისა და ჰუსეინის რეჟიმია სხვა მასშტაბში. ამასთან, ივანიშვილი პუტინის ხელის ბიჭია. ვერ ხედავთ, რა უქნეს ქვეყანას? ყველაფერთან ერთად ბენზინის ფასი 3 ლარს გასცდა.

***– შეზღუდვების აღდგენა-გამკაცრებაზეც მიდის საუბარი. თქვენ მოელით ახალ ლოკდაუნს?***

– ამაზე ხელისუფლება მინიშნებებს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, უნდათ ყველაფრის ჩაკეტვა. აგერ, 15 მაისი ახლოვდება და ხელისუფლებას ეშინია.

***– ოპოზიციის მიერ 15 მაისს დაანონსებული აქცია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. სამოქალაქო აქტივისტებს ეჭვი აქვთ, რომ ოპოზიციამ იცოდა მომავალი ლოკდაუნის ამბავი და აქცია შეგნებულად გვიან დანიშნა***

– ჩემი პატივისცემა სამოქალაქო აქტივისტებს. ვისაც ასეთი პრეტენზიები აქვს, მაშინ ადგეს და თვითონ მოახდინოს აქციის ორგანიზება. ოპოზიციაზე თუ ასეთი უცნაური აზრები უჩნდება, მაშინ თვითონ იტვირთოს ხალხის გამაერთიანებლის როლი და შეკრიბოს ადამიანები 15 მაისამდე. კრიტიკა ძალიან ადვილია, საქმის გაკეთება კი – უფრო რთული. ვინც ოპოზიციას უსამართლოდ ესხმის თავს, ლატენტური „ქოცია“.

***– აქციას მომზადება ესაჭიროება?***

– რასაკვირველია. აბა, სტიქიური, დაუგეგმავი და ქაოსური გამოსვლებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენ ქვეყანას კიდევ ასეთი რყევა უნდა?! აქცია უნდა დაიგეგმოს. ოპოზიციამაც



დაგეგმა.

***– აღნიშნეთ, რომ საქართველოში დიქტატურაა. ამასთან, დიქტატორად დაასახელეთ ადამიანი, რომელსაც არანაირი თანამდებობა არ უკავია. ის პოლიტიკიდანაც წავიდა.***

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! სულმნათი ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩაში“ მურტალო ეუბნება კუკარაჩას, მეთოდები დაგიძველდაო. ივანიშვილსაც დაუძველდა მეთოდები. თავისი ტრიუკების დემონსტრირება ადრეც მოუხდენია. რომ ამბობს, პოლიტიკიდან წავედიო, ეს ნიშნავს, რომ კულისებიდან აგრძელებს მართვას. ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნა, აბა რას ნიშნავს!

***– რას ნიშნავს?***

– იმას, რომ ღარიბაშვილი რობოტივით ახმოვანებს ივანიშვილს. ეს კაცი საკუთარი ნებით ერთ სიტყვასაც არ ამბობს. ღარიბაშვილი კობახიძეზე უარესი ზომბია.

***– კრიტიკა ოპოზიციის მიმართაც გაისმის.***

– გაკოტრებამდე მისული, დამშეული ხალხი ოპოზიციას რატომ უნდა აკრიტიკებდეს! ოპოზიციას აკრიტიკებენ ლატენტური „ქოცები“. ასეთები „ქართულ ოცნებას“ და ივანიშვილს ბევრი ჰყავს. ზოგს ექსპერტის სახელიც ჰქვია. ზოგს აუკვიატებია, ოპოზიციის დაძახილზე ხალხი არ გამოდისო. სულ ახლახან, თებერვალში არ იყო, ნიკა მელიას დაკავების შემდეგ რომ ხალხმრავალი აქცია შედგა? 10.000-ზე მეტი ადამიანის უცებ ქუჩაში გამოყვანა ამ მძიმე დროს ოპოზიციის დამსახურებაა. 10.000 კაცი სახუმარო არაა. სხვას, ვისაც შეუძლია უკმაყოფილო ხალხის მობილიზება, ვინ უშლის? ადგეს და იმოქმედოს. გასაპროტესტებელი უამრავი რამეა – ლარის რეკორდული გაუფასურება, ჩავარდნა კოვიდ-თან ბრძოლაში, ფასების ავარდნა ყველა პროდუქციაზე, ეკონომიკური კრიზისი.

***– დაახლოებით ერთი წლის წინ, კორონაკრიზისის წარმატებით გადალახვა ითვლებოდა მთავრობის და პრემიერ გახარიას დამსახურებად. აირაის ბოლო კვლევით (მაშინ გახარია პრემიერი იყო) მას 65%-იანი რეიტინგი აქვს.***

– თუ გიორგი გახარიას მართლა გამოკითხულთა 65% უჭერს მხარს, მაშინ, ფურთხის ღირსი ყოფილა საქართველო. ეს აკაკი წერეთლის სიტყვებია. გამაგებინოს ვინმემ, რა გაუკეთებია კარგი გახარიას? მის საქმიანობაში ერთადერთი პოზიტივი ისაა, რომ ნიკა მელიას შემთხვევაში 20 ივნისი არ გაიმეორა. სხვა ყველაფერში გაფარჩაკდა.

***– გახარიას პარტიაში ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი მოიყრის თავს.***

– მაგათ მაკო გომურისა უნდა შერცხვეთ. როგორ უნდა შეხედონ იმ გოგოს, რომელსაც გახარიას დავალებით თვალები დასთხარეს?!

***– „ქართული ოცნება“ ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება.***

– ქოცებმა, ჯობია, პოლიტიკური მესაფლავეები მოძებნონ, რომ პოლიტიკურად დაიმარხონ.

***– ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ვადამდელ არჩევნებს ელით?***

– რასაკვირველია. შეიძლება, ხეიბარს მართვა მიანდო? ეს პარლამენტი უმაქნისი და უძლურია. მას არ ჰყავს 113 დეპუტატი, რომ განახორციელოს საკონსტიტუციო ცვლილებები. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ხეიბარი პარლამენტი 2024 წლამდე ვერ მიაღწევს. ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია.

# რა შემთხვევაში ხდება დასჯადი სახლების გაქირავება?

შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის ბექა ფერაძის განცხადებით, უახლოეს პერიოდში იგეგმება, რომ სოციალური ღონისძიების ორგანიზების მიზნით, ფართის გაქირავება აიკრძალოს, ან შეიზღუდოს. როგორც ფერაძემ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა, აღნიშნული ცვლილება შეეხება მასშტაბურ ღონისძიებაზე გაქირავებულ ფართებს, სადაც ასეულობით ადამიანის შეკრება ხდება.

– სოციალურ ღონისძიებად გვაქვს დადგენილი – ქელეხი, ქორწილი, იუბილე ან ნებისმიერი ტიპის მსგავსი მასობრივი თავშეყრა, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებული, ტრადიციული დღეების აღნიშვნას უკავშირდება. ბევრი განცხადება შემოვიდა ინდივიდუალური პირებისგან – რომ ბინას აქირავებენ და იკრძალება თუ არა მსგავსი ქმედება, რა თქმა უნდა, არ იკრძალება. ცხადია, რომ 10 ადამიანამდე ისევ ნებადართული რჩება მსგავსი ტიპის სოციალური ღონისძიების ორგანიზებაც. მაგრამ აქ საუბარია მასშტაბზე, თუ ვსაუბრობთ, რომ ხდება ასეულობით ადამიანის თავყრილობა, ეს, რა თქმა უნდა, დასჯადია, – განაცხადა ფერაძემ.

რაც შეეხება სანქციას, ბექა ფერაძის თქმით, პირველ ჯერზე იურიდიული პირი ჯარიმდება 10 ათასი ლარით, ფიზიკური პირი კი 2 ათასი ლარით; ხოლო განმეორების შემთხვევაში, უკვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება.

რაც შეეხება ამ შეზღუდვის ამოქმედების პერიოდს, ბექა ფერაძის განცხადებით, „უკვე დაწყებულია მუშაობა და უახლოეს დღეებში ელის, რომ მიაღწევენ შეთანხმებას უწყებები.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ოცნებასთან“ ყურში ჩაჩურჩულება არ შემიძლია, მე არც შეხვედრას ვაპირებ

## თაკო ჩარკვიანი: „ვაშაძემ თქვა, გარიგება გამორიცხულიაო“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა სამზადისშია ოპოზიცია, მზად არის თუ არა „ქართულ ოცნებასთან“ ინდივიდუალური მოლაპარაკებისთვის და რა განწყობა აქვთ ხალხს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარტია „კანონი და სამართალის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი საუბრობს:**

***– ჩაიშალა მოლაპარაკებები, თუმცა მაინც არის საუბარი, რომ იქნება ახალი რაუნდი. რა ეტაპზე ხართ ოპოზიციაში?***

– რეგიონებში დავდივართ და ხალხს ვხვდებით. მინდა გითხრათ, რომ არ გავჩერებულვართ და ვშრომობთ.

***– აქციებისთვის ემზადებით?***

– დიახ, 15 მაისის აქციისთვის არის მზადება. საკმაოდ მძიმე სურათია სოციალური აფეთქების თვალსაზრისით და ძალიან გაღიზიანებულია ხალხი. ამას ნახავთ შეუიარაღებელი თვალითაც. ყველა გვეუბნება, რომ რაღაცა გააკეთეთო, რათა რაღაცნაირად შეცვალოს არსებული ვითარება.

მეუხერხულება ხოლმე, ისეთ დაბეჩავებულ მდგომარეობაშია ყველაფერი. იტყვი, რომ რა ხდება საერთოდ გარშემო. ადამიანებს გაუსაძლისი ყოფა აქვთ. სურვილი არის მოსახლეობაში იმისა, რომ გამოვიდნენ ქუჩაში. ძალიან უნდათ აქციაზე გამოსვლა, რადგან ძალიან ცუდად გრძნობენ თავს.

***– ამ ფონზე არ ფიქრობთ, რომ დაგვიანებულია აქცია 15 მაისს და უფრო ადრე ხომ არ უნდა გაგემართათ?***

– იცით თქვენ ჩემი აზრი და ვფიქრობდი, რომ საერთოდ ყოველი დღე უკვე დაგვიანებულია. მოგეხსენებათ, რომ მე მარტო არ ვარ მაგიდასთან და გარკვეული მოსაზრებების გამო დაიგეგმა 15 მაისს. იქ არის მზადება, ყველაფერი უკავშირდება თანხებს, სწორად უნდა დაიგეგმოს, იქ პირბადეებია საჭირო და ა. შ. ამ თვალსაზრისით, რაც გავიარეთ, ვერაფერს ვერ იტყვი. იმიტომ, რომ სჭირდება დრო ორგანიზებისთვის.



**„ყოველი დღე დაგვიანებულია, მაგრამ აქციაზე გადაწყვეტილებას მარტო არ ვიღებ“**

ადამიანებს ვერ ეტყვი, რომ გამოდი ხვალ-ზეგ. ძალიან უპასუხისმგებლობა იქნება. ამხელა მიტინგზე გჭირდება მობილიზება, სადეზინფექციო ხსნარები.

***– კიდევ ხომ არ მოგიწევთ აქციის გადადება იქიდან გამომდინარე, რომ დღითიდღე ისევ მატულობს კორონავირუსის შემთხვევები?***

– არა. არა მგონია. ხალხი ისეა მომზადებული, რომ არა მგონია, გადადება დადგეს დღის წესრიგში. გაუსაძლისი ვითარებაა და ხალხი ასე გრძნობს თავს მატერიალური სიდუხჭირის და შერჩევითი სამართლის გამო. პოზნერი პოზნერად და როგორია შუა პანდემიის დროს, როდესაც ხალხი სახლებში ჰყავთ დამწყვდეული და პოზნერი ამ დროს აწყობს პოზნერ-ფართს, რომელიც ჩაიშალა. თავი რომ დავანებოთ მის არასახელმწიფოებრივ განცხადებებს, სახეზეა შერჩევითი სამართალი. მონებს რომ ექცევიან, ისეთი მოქცევაა. საზიზღრობაა ასეთი შერჩევითობა და ამაზე ხალხს ბუნებრივი რეაქცია აქვს.

***– რაც შეეხება მოლაპარაკებებს, საბოლოოდ ჩავარდა და აღარ უნდა ველოდოთ განახლებას?***

– იცით რა? ჩავარდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, პატარა გაგრძელება მაინც ექნება.

სულ აპელირებენ ხოლმე ბოიკოტზე და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბოიკოტი ჩვენი თვითმიზანი იყო, ეს ასე არ არის. როგორ გეკადრებათ, ხალხო. ვის ჰქონდა ამის ნერვები. მაგრამ თუ შევხედავთ, დიდი საქმე გაკეთდა. თუნდაც ის, რომ ამერიკის სენატს მსგავსი რამე არასდროს არ განუხილავს. პირდაპირ ითქვა, რომ სასამართლო კლანი გაქვთ და ოლიგარქიული მმართველობაო. ვციტირებ ამ ფრაზებს.

ამერიკა ხომ არ გეტყვის, რომ არ შეხვიდე პარლამენტშიო? ეს ლამის რევოლუციის მოწოდების ტოლფასი განცხადება იქნება. მაგრამ შენ იმან გითხრა, რომ სასამართლოში გაქვს კლანი და ოლიგარქიული მმართველობა. თუ სასამართლოში კლანი გვაქვს და ეს ამერიკის სენატის დონეზე გაირჩა უკვე, მაშინ რა არჩევნები ჩატარდებოდა აქ?! – გაყალბებული. რათ უნდა ამას ბევრი გარჩევა. სასამართლო კლანი თუ არის, მაშინ ასეთი არჩევნები ჩატარდებოდა და ზუსტად ეს პრეტენზია აქვს ოპოზიციას.

არაფერზე არ მოდიან. მაგალითად, სასამართლო რეფორმები რომ გავაკეთოთ, ამისთვის არ არის პარლამენტში შესვლა საკმარისი. ძირფესვიანი რეფორმა ვერ კეთდება და გამოდის, რომ წრეზე ვტრიალებთ. ამიტომ ვამბობ, რომ ბოლომდე პრინციპულები უნდა ვიყოთ.

***– ამომრჩეველთა უმეტესობამ გითხრათ კვლევებით, რომ შედით პარლამენტში და იქიდან შეცვალეთ ვითარებაო. ეს განწყობა იქაც ხომ არ არის, როდესაც ადამიანებს ხვდებით?***

– ზუსტად ეს მინდოდა მეთქვა. როდესაც ჩვენ ვხვდებით ადამიანებს, იმ ადამიანების განწყობა აცდენილია ამ კვლევას. ისინი გვეუბნებიან, რომ არ დაგვლუპოთ და არ შეხვიდეთო. ეს არის ჩემთვის სოციოლოგიური კვლევა. ცოტა მიკვირს ხოლმე. რა ვიცი აბა, ბევრი მწერს ხოლმე, რომ ჩემთანაც არავინ მოსულა გამოკითხვაზეო. ასე ამბობს ბევრი ადამიანი.

***– უნდობლობა გაქვთ კვლევების მიმართ?***

– ვერ გეტყვით, რომ უნდობლობა მაქვს. არ ვიცი, როგორ ისმევა კითხვა, ვინ აკეთებს, ის ადამიანები შეშინებულები ხომ არ არიან... ჩვენ როდესაც ვხვდებით ადამიანებს, რადიკალურად განსხვავებულ პოზიციები აქვთ. გვხვდება გაძვალტყავებული, მოშიმშილე, გაუბედურებული ხალხი. უსმელ-უჭმელი, აუცრელი. უიმედო გამწარებული თვალებით და გვეუბნებიან, რომ მადლობა, ჩვენ გამო არ შეხვედითო. როგორ გგონიათ, რომ ვიცოდეთ, რომ რეფორმების გაკეთებას შევძლებთ, არ შევიდოდით?! გიჟები ხომ არ ვართ?! ვერ ახერხებ ფუნდამენტური რეფორმის გაკეთებას და ამაზეა საუბარი.

როდესაც აშშ გეუბნება, რომ სასამართლო კლანი და ოლიგარქიული მმართველობა გაქვს, შენ უნდა მიხვდე 100 000 და 50 000-იანი აქცია უნდა გააკეთო თუ არა. ამას ამერიკა არ გეტყვის. ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხალხმა და არა აშშ-მა და დასავლეთმა. ოპოზიციამ დასავლეთს გავაგებინეთ, რომ ყველაფერი რიგზე არ არის ჩვენთან და ეს ხალხი გამოვიდა და დასკვნა დადეს. ამ სიტუაციაში თუ გინდა შედი, აიღე ხელფასი თავისი ბონუსით, ვერ გააკეთებ რეფორმას და წრეზე იტრიალებს ქვეყანა. მგონია, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციამ ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო.

***– გიორგი ვაშაძემ არ გამორიცხა ინდივიდუალური მოლაპარაკებები. თქვენ ხართ მზად ამისთვის?***

– მე მოვისმინე ვაშაძის ეს განცხადება და მერე მოვისმინე მისი რადიკალურად განსხვავებული განცხადება, ალბათ თქვენც მოისმინეთ ვაშაძის და სერგო ჩიხლაძის განცხადებაც. ვაშაძემ თქვა, რომ გარიგებაზე საუბარი ზედმეტია და მხოლოდ საუბარი მქონდა მხედველობაშიო.

***– თქვენ თუ ხართ მზად ინდივიდუალური მოლაპარაკებისთვის?***

– არა, მე ხელისუფლებასთან ინდივიდუალური ყურში ჩურჩულები არ შემიძლია. რაც არის მოლაპარაკების ფორმატი, იმ ფორმატში ვისაუბროთ. ცალკე რა მაქვს სასაუბრო?! ასეთი ფორმატით შეხვედრას არ ვაპირებ. მზად ვარ იმ ფორმატში სასაუბროდ, რაც არსებობს, რათა ხალხმა გაიგოს გამჭვირვალედ, რა და როგორ ხდება.

***– თქვენ თქვით, რომ რაღაც შემოთავაზებები იყო პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ. გაჩერდა ის პროცესი და აღარ გაგრძელებულა?***

– არა. ასეთი რამე აღარ განმეორებულა. იმიტომაც გავაკეთე ის განცხადება მაშინ, რომ აღარ განმეორებულიყო.

# „ოცნებას“ კობახიძისნაირი განულებული ხალხი სჭირდება“

## გედევან ფოფხაძე: „თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება, მაშინ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ რამდენად ელოდებით პოლიტიკურ სპექტრში ერთგვარ გადალაგებას, ახალ კონფიგურაციას?***

– ყველა შემთხვევაში მოხდება გადალაგება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. თავისთავად არჩევნები, სწორედ აქეთკენ უბიძგებს პოლიტიკურ სპექტრს. არ ვსაუბრობ მხოლოდ იდეოლოგიურ თანხვედრაზე, პოლიტიკურ კონიუნქტურასაც ვგულისხმობ, რომელიც გარკვეულ რეალობას გვთავაზობს.

ბოლოს და ბოლოს, „ქართული ოცნებიდან“ გახარიას წამოსვლის შემდეგ დამატებითი სივრცე შეიქმნება. თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება, მაშინ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს. მე ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ. არ მესმის, რატომ უნდა მიიღოს ოპოზიციამ ამ სიყალბეში მონაწილეობა.

***– ვინ იქნება „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი? იქნება კალაძე თუ ის მართლაც მიდის პოლიტიკიდან? რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– რეალურად „ქართული ოცნება“ ძალოვან სტრუქტურებზე დამოკიდებული სუბიექტი გახდა. არჩევნებს ძალოვნები ატარებენ. 2016 წელს პარტიის პოლიტსაბჭოს ჩვეულებრივად ესწრებოდნენ სუსის უფროსი სოსო გოგაშვილი და ვახტანგ გომელაური. ჩვენც, მაშინ, ძალიან შევცოდეთ, რადგან ამას, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ისე ვუყურებდით და არ გაგვიპროტესტებია. ეს უკვე იყო სერიოზული სიგნალი, თუ რა დონეზე ერეოდა სუსი არჩევნებში. ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატებსაც კი სუსი არჩევდა. ჩათვალეთ, ზუსტად იგივე ხდება, ყველაფერს ძალოვნები წყვეტენ.



**„ქართული ოცნება“ კორუმპირებულების ძალაა, რომელთა გამდიდრებასაც საზღვარი აღარ აქვს“**

შესაბამისად, კალაძე თუ დარჩება „ქართულ ოცნებაში“, მან მთლიანად უნდა მიიღოს ეს წესები. კახის ცოტა უფრო მეტად აქვს პიროვნული თვისებები გამოკვეთილი, ვიდრე სხვებს. არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ღირსებაც და თავმოყვარეობაც. როდესაც, ერთხელ გადაგივლიან, ორჯერ გადაგივლიან, რთულია ამას მუდმივად შეეგუო. ყველა არ თანხმდება პიროვნული იდენტობის გაქრობას. გიორგი გახარიასაც ბევრი ცოდვა აჰკიდეს, რომელსაც ალბათ სხვა შემთხვევაში არ აიღებდა საკუთარ თავზე. კახიც ბევრ ისეთ რამეში აღმოჩნდა „ოცნების“ თანამონაწილე, რომ დარწმუნებული ვარ, დამოუკიდებლად არ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას. როდესაც სისტემას უნდა ადამიანების განულება, ამას დაუფიქრებლად აკეთებენ.

***– კალაძე თავისი რეიტინგით დაიწყებს „ოცნებასთან“ ვაჭრობას?***

– ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, „ოცნებას“ რეიტინგი არაფერში აინტერესებს. იქ ყველაფრის განმსაზღვრელი ძალოვანი სტრუქტურაა. პირიქით, კალაძის რეიტინგი სისტემას აღიზიანებს. მეტიც, შეიძლება მის საწინააღმდეგო არგუმენტადაც კი იქცეს. სისტემას მოსწონს ირაკლი კობახიძე, რომელსაც არ აქვს არანაირი პიროვნული წონა.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ კობახიძეც არ მოსწონთ და მის ჩაჩოჩებაზეა საუბარი.***

– დიახ, კობახიძისნაირ განულებულ ფიგურასაც კი შეიძლება გაუჩნდეს ამბიცია და ეს ვერ აიტანოს სისტემამ. ნული უნდა იყო, რომ სისტემაში დისონანსი არ შეიტანო. კობახიძე ამას მეტნაკლებად ახერხებდა, მაგრამ კალაძისთვის ეს უკვე ძალიან რთული იქნება. კახის ყოველთვის ჰქონდა გამოკვეთილი პიროვნული თვისებები და ამიტომ რთული იქნება საერთოდ გაანულონ. მთელი სპექტრი წავიდა „ქართული ოცნებიდან“, რომლებმაც პიროვნულ განულებაზე თქვეს უარი. სისტემამ ეს ხალხი განდევნა და დატოვა ის, ვინც თანახმაა ბოლომდე განულდეს. ამიტომ, ამ გუნდთან კალაძემ თანამშრომლობა რომ გააგრძელოს, უნდა თქვას – ნული ვარ, რაც ალბათ გაუჭირდება.

***– რამდენად უშვებთ, „გაშავებულ“ „ქართულ ოცნებას“ დაეხსნას ივანიშვილი და გახარიას უჭერდეს მხარს?***

– არა მგონია. გახარიამ მორალური არჩევანი გააკეთა. სწორი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი გადადგა.

***– ეს იყო გახარიას არჩევანი და არა ივანიშვილის გადაწყვეტილება?***

– არა, ივანიშვილის გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილმა აღასრულა. ივანიშვილმა საქართველო საბჭოური კორუფციის ხანაში დააბრუნა. ეს მისთვის მენეჯმენტის მისაღები ფორმაა. ვინ არის დღეს „ქართული ოცნება“ – კორუმპირებულების ძალა, რომელთა გამდიდრებასაც საზღვარი აღარ აქვს.

***– ირაკლი კობახიძეც გამდიდრდა?***

– ყველა, ყველა გამდიდრდა. ვინც ვერ გავმდიდრდით, ისინი კი ვართ გარიყულები.

# ფეისბუქმა ირაკლი შიხიაშვილისა და „ქართული მარშის“ გვერდები და ჯგუფები წაშალა

ფეისბუქმა 24 გვერდი, 12 ჯგუფი, 23 მომხმარებელი და 11 ინსტაგრამ გვერდი წაშალა.

ყველა მათგანი დაკავშირებულია „ქართულ მარშთან“.



აქტივობებს უკან მდგარი პირები პოსტებისა და კომენტარის დასაწერად, გვერდებისა და ჯგუფების სამართავად გაყალბებულ ან დუბლირებულ ანგარიშებს იყენებდნენ. მათ ფეისბუქის ქომუნითი სტანდარტების დარღვევისთვის არაერთხელ დაუწესდათ შეზღუდვები.

განცხადებაში ნათქვამია, რომ წაშლილი ქსელები ხშირად წერდნენ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, როგორებიცაა: არჩევნები, არჩევნების გაყალბება, კოვიდპანდემია, ასევე გამოირჩეოდნენ ამერიკის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მიმართ კრიტიკით.

გაუქმებული ქსელების ნაწილი თავს გასართობ გვერდებად/ჯგუფებად ნიღბავდა და „ქართულ მარშთან“ დაკავშირებული მასალის გარდა პოსტივის მასალასაც არეკლამებდა.

გაუქმებულ გვერდებს შორისაა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი შიხიაშვილის გვერდი, რომელსაც 119.000-ზე მეტი გამომწერი ჰყავდა. ასევე ფოტოგრაფისა და ვიდეო-ბლოგერის გიორგი თორელის გვერდი, რომელიც „ქართულ მარშთან“, პროსახელმწიფოებრივ და პოსტივისთან დაკავშირებულ მასალებს არეკლამებდა.

წაშლილია „მარშ ტვ-ს“ გვერდი, ჯგუფები: საგიჟეთი, ღამურები, შერეკილები, ყიდვა– გაყიდვა საქართველოში და ა.შ.

# შამგონასთან ენგურში 4 ცხედარი იპოვეს

გუშინ, 7 აპრილს, ენგურის ხეობაში, სოფელ შამგონასთან, 4 ცხედარი იპოვეს. ეს ადამიანები ოკუპირებული გალის რაიონიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ფარულად გადმოსვლას ცდილობდნენ, როდესაც, სავარაუდოდ, წვიმების გამო ადიდებულმა ენგურმა წაიღო.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

საქმე აღძრულია 143-ე და 115-ე მუხლებით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სუსმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

„საოკუპაციო ხაზის გადმოკვეთისას, სოფელ შამგონასა და სოფელ თაგილონის მიმდებარედ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ დამკვიდრებული უკანონო დაკავებებისთვის თავის არიდების მიზნით, ოკუპირებული გალის რაიონის მკვიდრი საქართველოს სამი მოქალაქე ცდილობდა მდინარე ენგურის გავლით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას. მდინარე ენგურის გადმოკვეთისას სამივე მათგანი დაიღუპა.

აღიშნული წარმოადგენს საოკუპაციო რეჟიმის მიერ თავისუფალ გადაადგილებაზე უკანონოდ დაწესებული შეზღუდვებისა და უკანონო დაკავებების დამაზიანებელი პრაქტიკის შედეგს. მომხდარმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ოკუპაციის თანმდევი პროცესების ანტიჰუმანური და დანაშაულებრივი არსი, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას. წლების განმავლობაში თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულმა უკანონო ე.წ. რეგულაციებმა და შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად გაართულა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და არაერთი მათგანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ყველა ინციდენტის, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ფაქტზე, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, მკაცრად დადგება საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გააქტიურებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები. საკითხის განხილვა მოხდება უმწვავესი ფორმით ყველა არსებული ფორმატის ფარგლებში.“




# აფგან მუხთარლი თბილისში ჩამოვიდა

## ის პროკურატურაში დაიბარეს



აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზეა დაბარებული.

ის პროკურატურაში დღეს, 8 აპრილს უნდა გამოცხადდეს.

„საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურამ აფგან მუხთარლის საქმეზე, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მუხთარლის გამოკითხვის შუამდგომლობით მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, სამართლებრივი დახმარებისთვის გერმანიის შესაბამის სამსახურებს 2020 წლის 24 მარტს მიმართა. გენერალური პროკურატურის მიმართვის საფუძველზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე აფგან მუხთარლი გერმანიაში შესაბამისი სამსახურების მიერ 2020 წლის 24 ივლისს გამოიკითხა. დაკითხვის ოქმი და შესაბამისი მასალები გერმანიიდან საქართველოს პროკურატურაში 2020 წლის პირველ ოქტომბერს გამოიგზავნა და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) მიმდინარეობს“ – განაცხადეს პროკურატურაში.

ცნობისთვის, მუხთარლი თბილისში 2017 წლის 29 მაისს გაუჩინარდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის აზერბაიჯანში იმყოფებოდა. აფგან მუხთარლის ბრალი სამი მუხლით – აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, კონტრაბანდის და ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით ჰქონდა წაყენებული. 2018 წლის 12 იანვარს აზერბაიჯანულმა სასამართლომ აფგან მუხთარლის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა აზერბაიჯანის ციხიდან ერთი წლის წინ გაათავისუფლეს. დარჩენილი წლები მას პირობითად ჩაეთვალა.

აფგან მუხთარლი თბილისში გუშინ, 7 აპრილს, დაბრუნდა.

# დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორს ბრალი წარედგინა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს ბრალი წარედგინა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 4 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროს ინსპექტორს, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე, შელაპარაკება მოუვიდა იუსტიციის სახლში სერვისის მისაღებად მისულ მოქალაქესთან. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროსმა ინსპექტორმა, სამსახურებრივ სარგებლობაში არსებული ხელის რადიოსადგური (ე.წ. „რაცია“) რამდენჯერმე ჩაარტყა მოქალაქეს თავის არეში.

აღნიშნულის შედეგად ამ უკანასკნელმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიება 2020 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს პროკურატურიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ათობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება: დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტები, გამოიკითხა 20-მდე მოწმე, ამოღებულ იქნა დანაშაულის იარაღი, გამოთხოვილი იქნა ვიდეოჩანაწერები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ჩატარდა სამედიცინო და სხვა სახის ექსპერტიზები.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2021 წლის 7 აპრილს გამოიტანა დადგენილება შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროსი ინსპექტორის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. აღნიშნული ბრალდება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ წარედგინა“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბათუმში ნარკოდანაშაულისთვის 1 პირი დააკავეს

ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

თვითმხილველების ინფორმაციით, ორი მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვის მიზნით გადაიყვანეს.

მეზობლების თქმით, აღნიშნულ მისამართზე მამაკაცები ქირით ცხოვრობდნენ.

ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოდანაშაულს გულისხმობს.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.391 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 391 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 154 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1127 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 109 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.



# თამაზ ხომასურიძე შეურაცხადად ცნეს

## მას 3 წელი იძულებით მკურნალობა შეეფარდა



გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ზ.ხ-ს მამას, თამაზ ხომასურიძეს სასამართლომ 3 წლით იძულებითი მკურნალობა შეუფარდა.

ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ მას შემდეგ მიიღო, რაც ექსპერტიზამ ბრალდებული მამაკაცი შეურაცხადად ცნო, მოსამართლემ მას 3 წლით იძულებითი მკურნალობა შეუფარდა.

ბრალდებული ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

გიორგი შაქარაშვილის საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტის, ზ.ხ-ს მამა 11 სექტემბერს მუქარის, მტკიცებულებების ფალსიფიკაციისა და ცრუ ჩვენების ბრალდებით დააკავეს.

# ბათუმში მშენებარე სახლი ჩამოინგრა

## 1 ადამიანი დაიღუპა



ბათუმში, შარაშიძის ქუჩაზე მშენებარე სახლის ნგრევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 2 კი დაშავდა.

ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილები.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება ბათუმში, შარაშიძის ქუჩაზე არსებული სახლის ნგრევის შესახებ.

ინიციატორის გადმოცემით, ჩამონგრეული იყო მშენებარე კერძო საცხოვრებელი სახლი, რომელშიც მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. მისამართზე მისულ მეხანძრე-მაშველებს ადგილობრივებმა განუცხადეს, რომ სახლში, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყვნენ მუშები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ოპერატიულად დაიწყო მოქალაქეების საძიებო-სამაშველო ღონისძიებები.

სამუშაოების შედეგად, მეხანძრე-მაშველებმა ნანგრევებიდან სამი ადამიანი გამოიყვანეს, რომელთაგან ერთი გარდაცვლილი, ხოლო ორი დაშავებული იყო. დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფების მიერ გადაყვანილები არიან სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება.

ბათუმში, შარაშიძის ქუჩაზე სულ მუშაობდა 8 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი, 30 მეხანძრე-მაშველის შემადგენლობით“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ახალციხეში გაზით 3 ადამიანი მოიწამლა

ქალაქ ახალციხეში ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის შემთხვევა დაფიქსირდა. ცხრა აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში გაზმა გაჟონა, რის გამოც სამი ადამიანი მოიწამლა.

სასწრაფო დახმარების სამსახურის ცნობით, სამივე მოქალაქე ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მათგან ორი არასრულწლოვანია. სასწრაფოს ექიმის მაია ქიტიაშვილის თქმით, ორი პაციენტის – ერთი არასრულწლოვნის და ზრდასრულის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მესამეს კი სამედიცინო დახმარება ჯერ ადგილზე გაეწია, მოგვიანებით კი მასაც გადაყვანა დასჭირდა.

# გლდანში მანქანა ავტობუსს დაეჯახა

## 1 ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისში – გლდანის ხიდებთან მსუბუქი ავტომობილი ავტობუსს დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „მთავარ არხს“ განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო. დანაშაული მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

## საერთაშორისო

# დონბასში 2 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა

რუსეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა 6 აპრილს დონბასში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 14-ჯერ დაარღვიეს, რის შედეგადაც 2 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა.

ამის შესახებ გაერთიანებული ძალების ოპერაციის შტაბის დილის მოხსენებაშია აღნიშნული.



„მტრის მიერ ცეცხლის გახსნის შედეგად ერთმა უკრაინელმა ჯარისკაცმა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო. გარდა ამისა, გაერთიანებული ძალების ოპერაციის არეალში, ერთი ჯარისკაცი დაუდგენელ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე აფეთქების შედეგად დაიღუპა" – აღნიშნულია შტაბის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთის შეიარაღებული ფორმირებების ქმედებების შესახებ უკრაინულმა მხარემ ეუთოს წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა.

„7 აპრილს, დილის 7 საათის მონაცემებით, საოკუპაციო ძალების მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევა არ დაფიქსირებულა", – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# დიდ ბრიტანეთში „მოდერნას" ვაქცინის გამოყენება დაიწყეს

გაერთიანებულ სამეფოში მოსახლეობის ვაქცინაციისთვის ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „მოდერნას" კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენება დაიწყეს.

– მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია გაერთიანებულ სამეფოში, დასავლეთ უელსში, „მოდერნას" ვაქცინის გამოყენება დავიწყოთ. სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, ზარის მიღებისთანავე გაიკეთეთ ვაქცინა, – განაცხადა გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის მინისტრმა მეთ ჰენკოკმა.

პირველი ადამიანი, რომელიც ქვეყანაში „მოდერნას" ვაქცინით აიცრა, უელსში მცხოვრები 24 წლის ელე ტეილორი გახდა.



„მოდერნა" მესამე ვაქცინაა „ასტრაზენეკასა" და „ფაიზერის" ვაქცინების შემდეგ, რომელსაც გაერთიანებულ სამეფოში გამოიყენებენ.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში ვაქცინების პირველი დოზა 31.6 მილიონ ადამიანს აქვს გაკეთებული.

# ჯო ბაიდენი: „ვირუსის ახალი სახეობა სწრაფად ვრცელდება"

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესი დაჩქარდება და 19 აპრილისთვის ვაქცინაციაზე წვდომა ამერიკის თითოეულ ზრდასრულ მოქალაქეს ექნება.



– ამერიკელი ხალხისა და ჩემი გუნდის დიდი მუშაობის შედეგად, დღეს მე ვაცხადებ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ვაქცინის ხელმისაწვდომობის თარიღი პირველი მაისიდან 19 აპრილისთვის გადმოგვაქვს. ეს ნიშნავს, რომ არაუგვიანეს 19 აპრილისა, 18 წელს გადაცილებული ყოველი ზრდასრული შეძლებს ვაქცინაციას, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის დასრულება ჯერ კიდევ შორსაა და მოდუნების დრო არ არის.

– ბევრი კარგი სიახლეა, თუმცა ცუდი სიახლეებიც არის. ვირუსის ახალი სახეობა სწრაფად ვრცელდება, ახალი შემთხვევების რიცხვი კვლავ იზრდება, ხოლო ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი არ იკლებს. პირდაპირ ვიტყვი: ფინიშის ხაზთან ჯერ არ ვიმყოფებით, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი



# მეთევზემ ანკესით სამმეტრიანი ნიანგი დაიჭირა

მეთევზემ ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ თაუნსვილიდან ანკესით უზარმაზარი ნიანგი დაიჭირა.

ჯიმ ფოლკენბერგი კუნძულ ჰინჩაინბრუკის მახლობლად თევზაობდა, როდესაც ანკესის ძუის ბოლოს მკვეთრი ბიძგი იგრძნო და მიხვდა, რომ მისი ნადავლი იმაზე საკმაოდ მოზრდილი იყო, ვიდრე თავად მოელოდა. მალე წყლის ზედაპირზე უზარმაზარი ნიანგის ზურგი გამოჩნდა.

ფოლკენბერგის თქმით, ის ნანახით გაოგნებული აღმოჩნდა. რეპტილიის დანახვაზე გულის ცემა აუჩქარდა.

– ის დაახლოებით სამი მეტრის სიგრძის იყო და მივხვდი, რომ მისი ამოყვანა ადვილი არ იქნებოდა, – აღნიშნა მან.

მტაცებელმა რეპტილიამ ან სატყუარა გადაყლაპა, ან ის თევზი, რომელიც ანკესის სატყუარაზე წამოეგო. მეთევზის ორთაბრძოლა ნიანგთან დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა. საბოლოოდ რეპტილიამ ნემსკავიდან თავის განთავისუფლება მოახერხა და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა, ფოლკენბერგმა კი შვებით ამოისუნთქა.

# ზოოპარკი დამთვალიერებლებს ლომის მაგივრად ძაღლს აჩვენებდა



ჩინეთის პროვინცია სიჩუანში ზოოპარკის მფლობელები ლომად ასაღებდნენ ოქროსფერ რეტრივერს.

ამ სიცრუეს ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მკვიდრმა ტანმა, რომელიც ზოოპარკში ბავშვთან ერთად იმყოფებოდა.

– თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ შეგვეშალა და სხვაგან შევედით, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ვოლიერს შემოვუარეთ, მივხვდით, რომ ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ლომი უნდა ყოფილიყო მოთავსებული, – განაცხადა აღშფოთებულმა ჩინელმა. მან წარმოადგინა ვიდეო, რომელზეც ჩანს, რომ ლომისთვის განკუთვნილ ვოლიერში ძაღლი იჯდა.

– ის აფრიკული ლომია? რა, ჯერ არ გაზრდილა? ვიღაცას მაგონებს, – ირონიულად განაცხადა მამაკაცმა.

ზოოპარკის თანამშრომლის მტკიცებით, შეცდომა მოხდა ცხოველების გადანაწილების დროს. მისი თქმით, ვოლიერისთვის, სადაც ადრე ლომი იჯდა, ფირნიშის მოხსნა ვერ მოასწრეს. ამასთან, რეტრივერი ზოოპარკის მფლობელის კუთვნილი შინაური ცხოველი აღმოჩნდა და ის გალიაში შემთხვევით მოხვდა.

თუმცა ტანმა ამ განმარტებებს არ დაუჯერა. მან აღნიშნა, რომ მთელ ზოოპარკში ლომი ვერსად ნახა, იმის მიუხედავად, რომ ბილეთების გაყიდვის დროს ზოოპარკი აქცენტირებას სწორედ ამ ცხოველზე ახდენდა.



# გააფთრებულმა სპილომ გასვენებიდან მომავალი ფერმერი გასრისა

ინდოეთის კარანტაკის შტატის ხასანის ოლქში სპილომ სასიკვდილოდ დააშავა ფერმერი.

2 აპრილის საღამოს 65 წლის შივანა გოვდა ავტობუსის გაჩერებიდან სახლისკენ მიემართებოდა. ის ქალაქ ვანავარიდან გასვენებიდან ბრუნდებოდა. მოულოდნელად ინდოელს თავს გააფთრებული სპილო დაესხა და გასრისა. დაღუპულ მამაკაცს მეუღლე, ორი ბიჭი და ერთ გოგონა დარჩა.

მომხდარის შესახებ ცნობილი 3 აპრილს, დილით გახდა, როდესაც გამვლელებმა დაღუპულის ცხედარი შენიშნეს და ამის შესახებ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს აცნობეს.

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებსა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს გაბრაზებული ადგილობრივი მცხოვრებლები დახვდნენ. მათ ხელისუფლებისგან აგრესიული ცხოველების პრობლემის მოგვარება მოითხოვეს. იანვრიდან მოყოლებული, ეს გარეული ცხოველებისგან ადამიანის დაღუპვის უკვე მეხუთე შემთხვევაა ამ ოლქში.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაღუპული ფერმერის ოჯახს კომპენსაციის სახით 200 ათასი რუპია გადასცეს.

# სახელგანთქმული მეკობრის განძის საიდუმლოს გასაღები ნაპოვნია



განძის მაძიებელმა ჯიმ ბეილიმ წამოაყენა თეორემა, რომელიც ხსნის სახელგანთქმული მეკობრის ჰენრი ევერის უკვალოდ გაუჩინარებას.

ბეილიმ ამერიკის როდ-აილენდის შტატში აღმოაჩინა 1693 წელს დამზადებული იემენური მონეტა. სხვა განძის მაძიებლებმა აშშ-ის აღმოსავლეთში იმავე დროის კიდევ რამდენიმე არაბული მონეტა იპოვეს: 10 მონეტა იპოვეს მასაჩუსეტსში, 3 – როდ-აილენდში, 2 – კონექტიკუტში და ერთი ჩრდილოეთ კაროლონაში.

ბეილი ვარაუდობს, რომ მონეტები ჰენრი ევერის ან მისი გუნდის წევრებს ეკუთვნოდათ. მეკობრეები უგზოუკვლოდ 1696 წელს გაუჩინარდნენ, როდესაც მათზე ნადირობა გამოცხადდა. ვერც თავად ევერის და ვერც მის მიერ გატაცებულ განძს ვერსად მიაგნეს. როდ-აილენდში აღმოჩენილი არაბული მონეტა შესაძლოა ამ საიდუმლოს გასაღები აღმოჩნდეს.

1695 წელს ევერი და მისი ხალხი თავს დაესხა დიდი მოგოლების იმპერიის ფადიშახის ხომალდებს, რომლებიც მექადან ინდოეთში ბრუნდებოდნენ. მეკობრეები რამდენიმე დღის განმავლობაში აწამებდნენ, ძალადობდნენ და კლავდნენ ტყვეებს, შემდეგ კი რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ნადავლი ოქროთი და ძვირფასი ქვებით მიიმალნენ.

ამ თავდასხმის შედეგად ინგლისი დიდი მოგოლიის იმპერიასთან ომის ზღვარზე აღმოჩნდა. საერთაშორისო სკანდალის მოსაგვარებლად, ინგლისის საიდუმლო საბჭომ და ბრიტანულმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ უზარმაზარი ჯილდო დააწესა ევერის თავისთვის. ამის მიუხედავად მეკობრემ მიმალვა მოახერხა.

ბეილის ვერსიით, ფადიშახის ხომალდებზე თავდასხმის შემდეგ ევერი ბაჰამებისკენ გაემართა, იქიდან კი ახალ ინგლისში. ხელისუფლებისთვის თვალის ასახვევად ის თავს მონებით მოვაჭრედ ასაღებდა. ამისთვის მან გზაში შეიცვალა გემი, შეჩერდა კუნძულ რეიუნიონზე და რამდენიმე ათეული ადგილობრივი მცხოვრები მოიტაცა, შემდეგ მონებად გასაყიდად.

ბეილი ეყრდნობა საბუთებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ 1696 წელს როდ-აილენდში ჩავიდა გემი სახელწოდებით „ზღვის ყვავილი", რომელზეც 50-მდე ტყვე იმყოფებოდა. მისი აზრით, სწორედ ის იყო სახელგანთქმული მეკობრის ახალი ხომალდი. თავისი ახსნა აქვს ჩრდილოეთ კაროლინაში ნაპოვნ არაბულ მონეტასაც: ზოგიერთი მონაცემებით, იქ, ნაპირზე გადავიდა ევერის გუნდის ერთ-ერთი წევრი.

# წყვილი სექსით პარაშუტით გადმოხტომის დროს დაკავდა



ამერიკელმა წყვილმა გადაწყვიტა, სექსით პარაშუტით გადმოხტომის დროს დაკავებულიყო და შედეგად თავი საავადმყოფოში ამოჰყო.

უილიამი და ლესლი საკუთარ თავს ადრენალინის ნარკომანებს უწოდებენ. წყვილი ერთ წელზე მეტი ხანია ერთადაა და გადაწყვიტა, სექსში ახალი შეგრძნებები გამოეცადათ. პარაშუტის იდეა კი აზრად ლესლის მოუვიდა.

– ვინაიდან ორივე ტომრისებური შორტებით ვიყავით, ვფიქრობდი, რომ პრობლემები არ შეგვექმნებოდა, – აღიარა ქალმა.

თუმცა პროცესით თავდავიწყებულ წყვილს პარაშუტების საჭირო სიმაღლეზე გახსნა დაავიწყდათ. როდესაც მიხვდა, თუ რამდენად ახლოს იყვნენ მიწასთან, უილიამმა შეყვარებულის პარაშუტის გახსნა მოასწრო, შემდეგ კი თავისიც გახსნა, მაგრამ ამ დროს პარაშუტი მას სახეში მოხვდა.

– როდესაც ის მიწაზე დავინახე, თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ის მკვდარი იყო, – იხსენებს ლესლი. საავადმყოფოში უილიამს უთხრეს, რომ ის ცხვირის მოტეხვით და საზარდულის დაზიანებით გადარჩა. მისი მეგობარი გოგონა არ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# ფესტივალი „თბილისი ოფენ ეარი" ჩაიშალა

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოფენ ეარი" გაუქმდა.




ინფორმაცია ფესტივალის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სამწუხაროდ, გვიწევს გითხრათ, რომ 2021 წელიც თბილისი ოფენ ეარის გარეშე ჩაივლის.

მთელი ამ დროის განმავლობაში დიდი იმედი გვქონდა, რომ სიტუაცია განიმუხტებოდა და ფესტივალის ჩატარებას წელს მაინც შევძლებდით, თუმცა ამჟამინდელი ეპიდემიოლოგიური ვითარება, სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოქმედი ან მოსალოდნელი რეგულაციები და ვაქცინაციის ტემპი არ გვაძლევს საშუალებას, რომ სრულფასოვნად ჩავატაროთ დიდი მასშტაბის საერთაშორისო ფესტივალი, თუნდაც შემოდგომაზე.

ამ პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თქვენი უსაფრთხოება სათანადოდ უზრუნველვყოთ და პასუხისმგებლობა ავიღოთ უცხოელი შემსრულებლების ქვეყანაში ჩამოყვანაზე.

დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ურთულეს პერიოდს ერთად გადავლახავთ და 2022 წელს ისეთ ფესტივალს შემოგთავაზებთ, რომელიც სამწლიან მოლოდინს სრულად აანაზღაურებს.

ვაუქმებთ თბილისი ოფენ ეარ 2021-ის ფეისბუქის ივენთს, 2022 წლის ფესტივალის თარიღებსა და ლაინაფს კი მომავალი წლის გაზაფხულზე გამოვაცხადებთ.

ოფიციალური ივენთის გარდა, სამწუხაროდ, უცნობი პირების მიერ შექმნილია ფესტივალის რამდენიმე ფეიქ-ივენთი, რომელზეც ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიღებთ.

წელს, ისევე, როგორც შარშან, აუცილებლად ჩავატარებთ მცირე მასშტაბის ღონისძიებებს, როგორც კი რეგულაციები ჩვენთვისაც შემსუბუქდება და ეპიდსიტუაცია ამის საშუალებას მოგვცემს.

ათწლიანი და ორწლიანი სასაჩუქრე საშვების მფლობელთა საყურადღებოდ: თქვენ უფასოდ დაესწრებით 2022 წლის ფესტივალს + 10 წელი და 2 წელი, შესაბამისად.

უახლოეს დღეებში გამოვაცხადებთ აპრილში დაგეგმილი ორი ივენთის სავარაუდო თარიღებს. 17 და 24 აპრილს მათი ჩატარება, ბუნებრივია, არსებული ვითარების გათვალისწინებით ვერ მოხერხდება.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის. იმედია, 2022-ში ყველანი ერთად დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას, რომლის ნაწილი ჩვენი ფესტივალიცაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# პენსიონერმა ავტომობილის შეიარაღებული გამტაცებლის თავდასხმა მოიგერია

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში პენსიონერმა შეიარაღებულ გამტაცებელს ხელი შეუშალა მისი ავტომობილის გატაცებაში. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.




პოლიციამ სათვალთვალო კამერის ჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელზეც ჩანს, თუ როგორ დაბოდიალობს უსაქმოდ მაღალი, გამხდარი მოზარდი იმ დროს, როდესაც 82 წლის მამაკაცი საკუთარი ავტომობილით ავტოგასამართ სადგურზე შედის. ყმაწვილი მამაკაცთან მიდის და ისინი რაღაც დროის განმავლობაში საუბრობენ. ამის შემდეგ ახალგაზრდა იღებს პისტოლეტს და მოითხოვს, რომ კაცმა მას გადასცეს ავტომობილის გასაღები.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, პენსიონერი თვალის დახამხამებაში თავს ესხმის გამტაცებელს და მიწაზე აგდებს. მართალია, ახალგაზრდა მამაკაცმა მისგან თავის დაღწევა და ავტომობილში ჩაჯდომა მოახერხა, მაგრამ მისი დაქოქვა ვერ შეძლო და ბოლოს იძულებული გახდა, შემთხვევის ადგილიდან გაქცეულიყო.

გამტაცებლის გაქცევის შემდეგ ავტომობილის გასაღები მიწაზე იპოვეს. ამ ინციდენტის შედეგად ხანდაზმულ მამაკაცს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია, თუმცა ორთაბრძოლის დროს ხელი იტკინა. სამართალდამცავებმა მოსახლეობას მიმართეს თხოვნით, ეჭვმიტანილის მოძებნაში დაეხმარონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გურამ გიორბელიძე: „მამაჩემის გარეშე ასე ვერ ვითამაშებდი“

ავსტრიული „ვოლფსბერგერის“ მცველმა გურამ გიორბელიძემ საქართველოს ნაკრებში მარტის ბოლოს 3 მატჩი ჩაატარა და ყველას მოწონება დაიმსახურა.

სპორტალი მას ესაუბრა.

***– ნიდერლანდებთან ამხანაგურზე...***

– მთავარ მწვრთნელთან ერთად ყოფნისთვის დიდი დრო არ გვქონია. შესაბამისად, ივნისის შეკრებას დიდი მნიშვნელობა ექნება. ამხანაგურ შეხვედრებში, მათ შორის, ნიდერლანდების ნაკრებთან, მეტ გამოცდილებასა და თავდაჯერებას შევიძენთ. ასევე, ტაქტიკური მონახაზების დასამუშავებლადაც შეკრებას ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

***– მიზანი შესრულებულია – თუმცა ყველაფერი ახლა იწყება!..***

– მე ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რათა სანაკრებო შანსი მიმეღო და მოთმინებით ველოდებოდი მოწვევას. ბოლო პერიოდში, კლუბში მწვრთნელის შეცვლის შემდეგ, თამაშიც ნაკლებად მიწევდა, თუმცა საკუთარ თავზე ვმუშაობდი, რათა კარიერულ მიზნებში ხელი არ შემშლოდა. სპორტსმენს, განსაკუთრებით, ახალგაზრდულ ასაკში, ბევრი რამის დათმობა უწევს....

***– როცა ფიზიკურად ყველა ძლიერია...***

– ფიზიკური მომზადების კუთხით პრობლემები ეროვნულ ლიგაში გამოსვლის დროსაც არ მქონია, თუმცა ავსტრიაში ამ კომპონენტში ბევრი გუნდია გამორჩეული. არაერთი ფეხბურთელი ფარავს ბევრ კილომეტრს. შესაბამისად, უფრო ძლიერ ვიზავისთან მეტი ენერგიის დახარჯვა გჭირდება. ტრავმის გამო ევროპალიგის შეხვედრების გამოტოვება მომიხდა და ამან კიდევ უფრო დიდი გამოცდილების მიღების საშუალება წამართვა.

***– კონტრაქტი ჩაშლის პირას და გიორგი ფოფხაძის როლი...***

– როგორც მოგეხსენებათ, ავსტრიაში გადაბარგებამდე, ეროვნული ლიგის ბოლო ტურში, ტრავმა მივიღე. საუბარი იმაზეც იყო, დაზიანება შეიძლება იმ სიძლიერის ყოფილიყო, ფეხბურთს ძალიან დიდი ხნით გამოვკლებოდი. ასეთ დროს გიორგი ფოფხაძისგან საოცარი მხარდაჭერა ვიგრძენი. მან ყველაფერი გააკეთა, რათა დაერწმუნებინა „ვოლფსბერგერის“ ხელმძღვანელობა, ჰქონოდათ ჩემი ტრანსფერის იმედი....

შეთავაზებებს რაც შეეხება, სხვა გუნდებიდანაც იყო, თუმცა ავსტრიელების მხრიდან მეტი კონკრეტიკა მივიღეთ.



***– რატომ არ გაუვლია ასაკობრივი ნაკრებები და ვის მიიჩნევს წარმატების ხელშემწყობად?!***

– ისე მოხდა, ასაკობრივ ნაკრებებში არ მომცემია თამაშის შესაძლებლობა. გამოძახებული ვიყავი ახალგაზრდულ ნაკრებში. ამაზე იშვიათად ვსაუბრობ, მაგრამ რომ არა მამაჩემის მოწადინება, გამიჭირდებოდა მაღალ დონეზე ასპარეზობა. იგი სულ გვერდით მყავდა, შეხვედრების დროს ფლანგს იცვლიდა, რათა მუდმივად ახლოს ყოფილიყო ჩემთან....

***– მარსელო და უფრო დიდი მიზნები...***

– ჩემი ამპლუის მოთამაშეებისგან საუკეთესო მარსელო მგონია. იგი მოედანზე, ფაქტობრივად, ცეკვავს და ჩემთვის მისაბაძი ფეხბურთელია.

ზოგადად, რა თქმა უნდა, მაქვს ამბიცია, უფრო დიდ გუნდში ვითამაშო. „ვოლფსბერგერის“ მადლობელი ვარ, მათ სანაკრებო გზა გამიხსნეს, თუმცა პროგრესი გამუდმებით მწყურია....

***– კვარაცხელია ძალიან გეხმარებოდათ...***

– ხვიჩა კვარაცხელია, უშუალო მოვლენების გარდა, დაცვითი ფუნქციების შესრულებაშიც ძალიან მეხმარებოდა. ზოგადად, ნაკრებში არ მიგრძნია დებიუტანტობა – მთავარი მწვრთნელი და თითოეული ფეხბურთელი ყველაფერს აკეთებდნენ, თავი დებიუტანტად არ მეგრძნო.

***– როცა ნაკრების ფორმა გაცვია...***

– სანამ პატარა შანსი მაინც არის, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა შევძლოთ. როცა ნაკრების ფორმა გაცვია, მოედანზე ბოლომდე უნდა დაიხარჯო!

## „რეალმა“ და „სიტიმ“ ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს

6 აპრილს ჩემპიონთა ლიგის პირველი ორი მეოთხედფინალი გაიმართა.



„რეალმა“, ზიდანის ხელმძღვანელობით, ტურნირზე 50-ე მატჩი ჩაატარა და „ლივერპულთან“ გამარჯვება მოიპოვა. სტუმრებს შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ, დაცვაში კი შეცდომებს უშვებდნენ, რითაც პირველ ტაიმში ვინისიუსმა და ასენსიომ ისარგებლეს და ალისონის კარი დალაშქრეს. „სამეფო გუნდს“ მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ასენსიომ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა ბურთი კარს.

შესვენების შემდეგ სალაჰმა ანგარიში შეამცირა (ჩემპიონთა ლიგაზე პირველად გაიტანა ზედიზედ 4 მატჩში), მაგრამ შემდეგ ვინისიუსმა კიდევ ერთხელ დაამწუხრა „წითლები“ (ეს „რეალში“ მისი პირველი დუბლია) და „რეალი“ „ენფილდზე“ ორბურთიანი ფორით მიემგზავრება.

„რეალმა“ „ლივერპულს“ ზედიზედ მეოთხედ სძლია საერთო ანგარიშით 10:2. მადრიდული გუნდი პლეიოფის პირველ დაპირისპირებაში მოგების შემდეგ 16 შემთხვევიდან 15-ჯერ გავიდა შემდეგ ეტაპზე.

ზიდანის გუნდმა ყველა ტურნირზე უკანასკნელი 12 მატჩიდან 10 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 10 აპრილს ლა ლიგაზე „ბარსელონას“ უმასპინძლებს.

ბენზემამ ჩემპიონთა ლიგაზე 108-ე მატჩი ჩაატარა, რობერტო კარლოსს გადაასწრო და ამ მაჩვენებლით „რეალში“ კასილიასის (150), რაულის (130) და სერხიო რამოსის (128) შემდეგ მეოთხე ადგილზეა.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა მანჩესტერში ადგილობრივ „სიტისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის.

მასპინძლები მე-19 წუთზე დე ბრუინმა დააწინაურა, რომელმაც ბოლო 5 მატჩში 5 გოლი გაიტანა. შემდეგ ჰიტცის კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ მსაჯმა ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ დაასკვნა, რომ წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და მიღებული გადაწყვეტილება შეცვალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჰოლანმა კარგი მომენტი ვერ გამოიყენა. საპასუხოდ ფოდენმა სამჯერ გაუშვა ხელიდან შანსი. სამაგიეროდ, როისმა ივარგა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა აქტიურმა ფოდენმა ბოლოს მაინც მიაღწია თავისას და „ქალაქელებს“ გამარჯვება მოუპოვა.

გვარდიოლას გუნდმა ტურნირზე ბოლო 9 მატჩიდან 8 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა – საერთო ანგარიში 19:2.

როისმა ჩემპიონთა ლიგაზე „დორტმუნდში“ მე-18 გოლი გაიტანა, ლევანდოვსკის გაასწრო და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## თბილისის „დინამომ“ „შუქურას“ მოუგო და ლიდერობა შეინარჩუნა

გუშინ, 7 აპრილს, საქართველოს საფეხბურთო პირველობის მე-7 ტურში მოქმედი ჩემპიონი და ლიდერი თბილისის დინამო ზესტაფონში ქობულეთის „შუქურას“ ესტუმრა და დამაჯერებლად იმარჯვა.

მასპინძლებმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მეორე ტაიმში გიორგი ნემსაძის გუნდმა ზღვისპირელთა გატეხვა მოახერხა.

ანგარიში 65-ე წუთზე გიორგი გაბედავამ გახსნა, რომელმაც თავისივე მოპოვებული პენალტი ზუსტად შეასრულა. 20 წუთში კი გიორგი კუციას პასით თორნიკე ახვლედიანმა გამოიჩინა თავი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

თბილისის დინამომ“ 16 ქულა დააგროვა და ლიდერია, მომდევნო ტურში ის „სამტრედიას“ უმასპინძლებს, „შუქურა“ კი 8 ქულით მეხუთე ადგილზეა და „საბურთალოს“ 11 აპრილს შეხვდება.

გუშინვე „დინამო არენაზე“ თბილისის „ლოკომოტივმა“ წყალტუბოს „სამგურალს“ უმასპინძლა. იმერლებს, უჩა სოსიაშვილის ხელმძღვანელობით, ნამდვილად სიმპათიური გუნდი ჰყავთ, თუმცა ამის შედეგებში ასახვას აქამდე ნაკლებად ახერხებდნენ.

შეხვედრა უხვგოლიანი და ძალიან კარგი საყურებელი გამოდგა. კიდევ ერთი მშვენიერი მატჩი ვიხილეთ სერგო კუხიანიძის მონაწილეობით. ის პირველ ტაიმში წყალტუბოელთა ყველა იერიშის მოქმედი პირი იყო – ჯერ თავად აიღო მეტოქის კარი, შემდეგ შალვა ბურჯანაძეს გაატანინა და მესამე გოლშიც გიორგი მამარდაშვილის შეცდომა სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა.

„სამგურალის“ მესამე გოლამდე წინა ტურის დეჟა-ვუ შედგა. საქართველოს ნაკრების გამოცდილმა ფეხბურთელმა გურამ კაშიამ ისევ ნიდერლანდელი იმრან ომარის პასი შეირგო. ტაიმის ბოლოს თეიმურაზ შონიას მშვენიერი გადაცემა დავით კირკიტაძემ გამოიყენა და საწყისი 45 წუთი 2:3 დასრულდა.

მეორე ტაიმშიც ორმხრივი შეტევები ვიხილეთ, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა და უჩა სოსიაშვილის გუნდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა.

თბილისის „ლოკომოტივი“ კვირის ბოლოს ქუთაისის „ტორპედოს“ ესტუმრება, წყალტუბოელები კი ბათუმში იასპარეზებენ.

## ბითაძის 19 წუთი — 6 პასი, 3 დაფარება, 4 ქულა

დომანტას საბონისის გარეშე დარჩენილმა „ინდიანა პეისერსმა“ მორიგ შეხვედრაში „ჩიკაგოს“ უმასპინძლა და მიმდინარე რეგულარულ სეზონში 27-ჯერ დამარცხდა 97:113.



გოგა ბითაძეს ლიეტუველი კალათბურთელის არყოფნაში ამჯერადაც შედარებით უფრო მეტი დრო მიეცა თავის გამოსაჩენად. მან 18 წუთი და 39 წამი ითამაშა. გოგამ ამ დროში ცოტ-ცოტა ყველაფერი მოასწრო, მის ანგარიშზე 4 ქულა, 3 მოხსნა (2 შეტევაში, 1 დაცვაში), 6 პასი, 3 დაფარება და 1 ჩაჭრაა. მან სამიდან ორი ორქულიანი ჩააგდო, პერიმეტრიდან კი სამჯერ ისროლა და სამივეჯერ უშედეგოდ. ბითაძემ მხოლოდ ერთხელ დაკარგა ბურთი და მეტოქის წინააღმდეგ ორჯერ დაჯარიმდა.

აღსანიშნავია ქართველი კალათბურთელის ასისტების რაოდენობა, რადგან ეს მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში.

შეხვედრა „ჩიკაგოს“ უპირატესობით დაიწყო. პირველ ტაიმში ბილი დონოვანის გუნდი მეტოქეს 13 ქულით გაექცა და საბოლოო ჯამში, „ინდიანას“ შეხვედრის შემოტრიალების საშუალება არ მისცა.

ძალიან კარგი მატჩი ჰქონდა ნიკოლა ვუჩევიჩს, რომელმაც 32 ქულასთან ერთად 17 მოხსნა დააგროვა. ზაკ ლავინმა 19 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი დააგროვა. „პეისერსიდან“ 20 ქულით საუკეთესო კარის ლევერტი იყო.

## კალეიდოსკოპი



### ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად პატრონები გადაარჩინა

მალაიზიის ქალაქ ტაიპინში ჰასკის ჯიშის ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ოჯახი კობრას თავდასხმისგან გადაარჩინა.

ძაღლის პატრონის იეპის თქმით, 2019 წელს ოჯახმა ცხოველთა თავშესაფრიდან წამოიყვანა ძაღლი. ჰასკის ჯიშის ძაღლი იქ ქუჩიდან აღმოჩნდა. იმ დროისთვის ის სამი თუ ოთხი წლის იყო. მას დაი ბაო დაარქვეს. ძაღლს კანის დაავადებები სტანჯავდა. ოჯახმა მას მოუარა და მოარჩინა.

20 მარტს დაი ბაომ შენიშნა კობრა, რომელიც მისი პატრონის სახლს უახლოვდებოდა. ძაღლი შეეცადა პატრონები შხამიანი ქვეწარმავლისგან დაეცვა. მან გველს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, თუმცა, თავის მხრივ, კობრამ მისი დაგესვლა მოასწრო.

იეპის ქალიშვილმა ძაღლის ყეფის ხმა გაიგონა და გარეთ სანახავად გამოვიდა. მან დაინახა, რომ ძაღლს პირით გველი ეჭირა.

– დაი ბაომ გველს პირი გაუშვა და ის მიწაზე დაეცა, – განაცხადა გოგონამ, რომლის თქმითაც, ძაღლს ცხვირი სისხლიანი ჰქონდა. სავარაუდოდ, კობრას კბენის შედეგი იყო.

ოჯახმა ძაღლი ვეტერინართან მიიყვანა. მან კი მათ სამწუხარო ამბავი აცნობა. ვეტერინარმა იეპის და მის ახლობლებს უთხრა, რომ მალაიზიაში ცხოველებისთვის შხამის საწინააღმდეგო საშუალება არ ჰქონდათ და ამიტომ ფსიქოლოგიურად ყველაზე უარესისთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. დაი ბაოს ინექცია გაუკეთეს და წვეთოვანი დაუდგეს, მაგრამ მის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ძაღლი დაიღუპა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზოგიერთი მოლუსკის ორგანიზმში წარმოქმნილი ძვირფასი ქვა; 2. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 3. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული დაავადება; 4. ფრანგი ნევროპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი; 5. შხამიანი გველი; 11. ესპანური ღორის შაშხი; 12. პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 16. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 17. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 19. ესპანელი ფერმწერი; 21. ხურდა ფული აშშ-ში; 22. ჭაობის ორთქლი.

**თარაზულად:** 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. ჯარის რჩეული ნაწილი; 8. შავი ფისი; 9. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. ჯარების მართვის ორგანო; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 20. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 21. სვან მამაკაცთა ცეკვა; 23. ქართველი მხატვარი; 24. მარმარილოს საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაპი; 2. ალი; 3. მაკიაველი; 4. გაგრა; 5. მეჯლისი; 8. ტატა; 9. ჩაკრულო; 10. ინჟინერი; 12. მიშელი; 13. ფეოლა; 15. მღილი.

**თარაზულად:** 1. პლატინა; 6. ჩანტლაძე; 7. პეტრა; 10. იტილი; 11. სტელა; 13. ფორდი; 14. ტემპი; 16. ერბო; 17. ითხვისი; 18. შატილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პანიტერია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. ბახში; 5. აცტეკა; 11. დილემა; 12. ტაპირი; 14. მუცო; 16. ნირვანა; 17. იმპულსი; 19. სევილია; 21. შოუდუ; 22. კათხა.

**თარაზულად:** 6. ფანტაზია; 7. პლანიცა; 8. შპრეე; 9. სტრიტი; 10. კლოდი; 13. გიუმი; 15. ანტვერპენი; 18. მატროსი; 20. მოკო; 21. შირაქი; 23. საქართველო; 24. სუმიდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8
აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4134

ევრო — 4.0585

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7187

100 რუსული რუბლი — 4.3970

## ამინდის პროგნოზი 8 აპრილისათვის




## სერხიო აგუერო შესაძლოა პსჟ-ში გადავიდეს



მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი შესაძლოა მომავალ სეზონში პსჟ-ში ვიხილოთ, რადგან მას ამ გუნდიდან დაუკავშირდნენ. აგუერო სეზონის ბოლოს სიტის დატოვებს და მან ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა. აგუეროს არ დაუზუსტებია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას, ამიტომ ნებისმიერი ვარიანტი შესაძლებელია.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ აგუერო სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას მშობლიურ ინდეპენდიენტეში დაასრულებს.

## დე ხეა იუვენტუსში?



მანჩესტერ იუნაიტედის მეკარემ დავიდ დე ხეამ შესაძლოა სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს და სათამაშოდ იუვენტუსში გადავიდეს. დე ხეას კონტრაქტი ერთ წელიწადში ეწურება და მას ჯერჯერობით ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

დე ხეამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის სხვა გუნდში გადასვლას არ გამორიცხავს, რადგან მას ახალი გამოწვევა სჭირდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლატარიის გამარჯვებული პრიზის მისაღებად არ მივიდა და მილიონები დაკარგა



ბრაზილიაში საახალწლო ლატარიის გამარჯვებული 28,5 მილიონი დოლარის გარეშე დარჩა, ვინაიდან მოგების მისაღებად ბანკში არ მივიდა. პრიზის მიღების ვადა მიმდინარე წლის 1 აპრილს ამოიწურა.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანხა ყველაზე დიდი „დავიწყებული“ პრიზია ლატარიის არსებობის ისტორიაში. ცნობილია, რომ მომგებიანი ბილეთი ქალაქ სან-პაულუს მცხოვრებმა შეიძინა. კონკურსის წესების თანახმად, თუ გამარჯვებული კუთვნილი მოგების მისაღებად არ გამოცხადდება, მაშინ ეს თანხა უმაღლესი განათლების ფონდის დაფინანსებას მოხმარდება. საახალწლო გათამაშების ჯეკპოტი ყველაზე მსხვილი აღმოჩნდა გათამაშების ისტორიაში – 57 მილიონი დოლარი. ის ორ მონაწილეს შორის გაიყო. ბრაზილიის სერჟიპეს შტატის ქალაქ არაკაჟუს მკვიდრი დროულად გამოცხადდა და კუთვნილი მოგება მიიღო.

## განძისმაძიებელმა საფლავის ამოთხრის გამო თავი ციხეში ამოყო



აშშ-ში განაჩენი გამოუტანეს განძისმაძიებელს, რომელმაც ცნობილი განძის ძებნის დროს სასაფლაოზე დაიწყო გათხრები.

2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისში როდრიკ დოუ კრეიტონი იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში ეძებდა ზარდახშას ძვირფასეულობით, რომელიც მილიონერმა ფორესტ ფენმა დამალა. ამ ხნის განმავლობაში მან არალეგალურად აწარმოა გათხრები 17 სხვადასხვა ადგილზე, დააზიანა ისტორიული საფლავი ფორტ იელოუსტონის სასაფლაოზე, რის გამოც დააკავეს.

განძისმაძიებელს ექვსი თვით პატიმრობა და კიდევ ექვსი თვით შინაპატიმრობა მიესაჯა. გარდა ამისა, მან უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზარალი, რომელიც 31,6 ათას დოლარს შეადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 8 აპრილისათვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** – რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **მშვილდოსანი** – შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** – დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– მინდა თქვენ ქალიშვილზე ვიქორწინო.

– მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში!

– საინტერესო აზრია, მხოლოდ ორ საზეიმო სუფრას ალბათ ვერ გავწვდები.

●●●

ერთი მოხუცი ქალი მეორეს ეკითხება:

– ერთი შემახსენე იმ გერმანელის გვარი, რომელზეც ჭკუა მეკეტება.

– ალცჰეიმერი.

– ჰო, ზუსტად...

●●●

ტელეფონის ზარი. მამაკაცმა ყურმილი აიღო და ქალის ხმა ეუბნება:

– ალო... გესმის, ქმარი წავიდა და გელოდები... ვაი, უკაცრავად, ნომერი შემეშალა!

– არა უშავს, თქვენ მისამართი მიკარნახეთ, უკვე ვიცვამ!

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– ჭურჭელი რატომაა დამტვრეული?

– მე და ჩემმა ცოლმა ვიჩხუბეთ!

– და დივანი რატომღაა დამტვრეული?

– შევრიგდით!

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი შეყვარებულის მამას ეუბნება:

– ახლახან თქვენმა ქალიშვილმა ცოლობაზე თანხმობა მომცა.

– საკუთარ თავს დააბრალეთ, არ იყო საჭირო ყოველ საღამოს აქ სიარული!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ალექსანდრე ზაზარაშვილი: „ჩემი ძალიან დიდი ხნის ოცნება ახდა!“



უკრაინული „ვოისის“ ქართველი გამარჯვებული მომღერლის ალექსანდრე ზაზარაშვილის დიდი ხნის ოცნება ახდა. ამერიკაში ის ყველაზე ცნობილ ვოკალის პედაგოგს შეროლ პორტერს შეხვდა და მასთან მუშაობის საშუალება მიეცა:

– ჩემი ძალიან დიდი ხნის ოცნება ახდა! დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანი ნებისმიერი ქვეყნიდან, ქალაქიდან თუ სოფლიდან, იცნობთ ამ ლეგენდა ადამიანს – შეროლ პორტერს. მე გავიცანი შეროლი და შემიყვარდა, პირველ რიგში, მისი სასწაული ადამიანობით, როგორიც ძალიან იშვიათია მსოფლიოში! რამდენად თბილი, საყვარელი, იმედის მომცემი ადამიანია!

მან ჩემი ცხოვრება ასი პროცენტით ამოატრიალა (კარგის მხრივ). ძალიან მინდოდა ეს ამბავი გამეზიარებინა, მაგრამ აქამდე არ შემეძლო! უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ უბედნიერესი ვარ! ახლა კი დაელოდეთ ვიდეო გაკვეთილს მის იუთუბ არხზე რამდენიმე თვეში!

და მთავარი – ეს არ არის მხოლოდ ჩემი წინსვლა, მეგობრებო! ეს ჩვენი, ქართველების, უდიდესი წინსვლაა!

## თამარ მეფეს ფრანგულმა ტელევიზიამ სიუჟეტი მიუძღვნა



ქართველთა მეფეთ-მეფე თამარს საფრანგეთის ტელევიზიამ „არტემ“ სიუჟეტი მიუძღვნა. მასში მოთხრობილია თამარ მეფის პერიოდის საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

სიუჟეტში ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ ისაუბრა:

– ფრანგულმა ცნობილმა ტელევიზიამ არტემ დიდი გადაცემა მიუძღვნა ქართველთა სახელოვან მეფეთა-მეფე თამარს. ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, დიდი პატივი იყო ამ გადაცემაში მონაწილეობა მიმეღო და მესაუბრა ვარძიაში მეფეთა-მეფე თამარზე! გიორგი ვარსიმაშვილი – დიდი მადლობა მეგობარო ამ დიდებული შანსისათვის.

## გოჩა კაპანაძემ არაორდინარული სივრცის მოწყობა დაიწყო



რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ თეატრის მოყვარულებისთვის არაორდინარული სივრცის მოწყობა დაიწყო. ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, მაყურებელს სრულიად განსხვავებულ გარემოში შეხვდეს.

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:

– ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გოჩა კაპანაძის აზრით, სანამ ახლად გადაცემულ შენობაში პეტრიაშვილის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება, შემოქმედებითი პროცესი არ უნდა შეწყდეს და თეატრმა არც კონტაქტი უნდა გაწყვიტოს თავის მაყურებელთან.

ამიტომაც ამ არაორდინარული სივრცის კეთილმოწყობა დაიწყო, სადაც ცხინვალის თეატრი წარმოდგენებს გამართავს. აქვე ექსკლუზიურად გაცნობებთ იმას, რომ გოჩა კაპანაძეს გადაწყვეტილი აქვს ამ სივრცეში, ზაფხულის დადგომისას, საფუძველი ჩაუყაროს ლტოლვილთა ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული თეატრები კამერული სპექტაკლებით. ეს სივრცე ამ ფესტივალსაც უმასპინძლებს.

## ლევან სონღულაშვილი: „ყველა ეპოქას თავისი კლასიკოსები ჰყავს“



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი აცხადებს, რომ ყველა ეპოქას თავისი კლასიკოსები ჰყავს:

– ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა თუ ხელოვანის გარდაცვალებისას ხალხში გაისმის ნიჰილისტური სიტყვები: „ვინღა დარჩა?!“ „ყველა წავიდა!“ „უკანასკნელი იმედიც გაქრა...“ და ა.შ., რაც არასწორია!

ეგვიპტის შემდგომ იყო ანტიკური საბერძნეთი, რასაც მოჰყვა იტალიური და ჩრდილოეთის რენესანსი; დონატელო და მიქელანჯელო წინ უსწრებდნენ როდენს, ბრანკუსის, ჯაკომეტის, სერას; დანტე შექსპირის წინამორბედი იყო, სერვანტესი კი ბორხესის, როგორც ვაგნერი მალერის... ერთი სიტყვით, ყველა ეპოქას თავისი კლასიკოსები ჰყავს, თავისი რჩეულები, ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს ისტორიაში.

## გიორგი კეკელიძემ დათა პაპას სახელობის სტიპენდიანტები დაასახელა



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ დათა პაპას სახელობის სტიპენდიანტები დაასახელა:

– დათა პაპას სახელობის პირველი სტიპენდიატი გამოვავლინეთ – შესანიშნავი მოსწავლე სოფელ მეჯვრისხევიდან – ნიკა სარაული. მეჯვრისხევი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელია, ნიკა – მომავლის მოქალაქე, რომელმაც ზუსტად იცის, თუ ოდესმე სტუმრად ისეთი ადამიანი ეყოლება, ვინც ფიქრობს ან სხვას აჯერებს, რომ ოკუპაცია მოგონილი ზღაპარია, გულისჯიბიდან დათა პაპას სურათი უნდა ამოიღოს და მასზე მოუყვეს. ჩვენ ყველას უნდა გვედოს ამ კაცის სურათი „გულის ჯიბეში“ – რესტორნის მფლობელსაც, პოლიტიკოსსაც და პოეტსაც. სხვა გზა არ გვაქვს და თუ გვაქვს – მრუდე გზაა ის გზა.

კიდევ კარგი ამბავი: ოკუპაციური რეჟიმის პატიმრის, ზაზა გახელაძის შვილებს – მარიამ გახელაძეს (მესამე კლასი) და ანანო გახელაძეს (მეექვსე კლასი) – ქვემო ჭალის სკოლის მოსწავლეებს დღეიდან დათა პაპას სახელობის სტიპენდიას დავუნიშნავთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ქართული გაზეთი; 4. მდინარის მსხვილთავიანი პატარა თევზი; 5. ქართველი მოფარიკავე ქალი, ევროპის ჩემპიონი; 8. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 9. მდინარე ახალციხეში; 10. ბანკში გახსნილი ანგარიში; 12. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში; 13. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 15. მუზეუმი ფლორენციაში.

**თარაზულად:** 1. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. პორტატული მფრინავი აპარატი; 11. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 13. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი, ანარქისტი; 14. მონასტერი საჩხერის რაიონში; 16. უბანი თბილისში; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 18. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

